# ევროპაში უვიზო მიმოსვლა თითოეული მოქალაქის პასუხისმგებლობის ტყუპისცალია! ერთი წამითაც არ უნდა ვიგულმავიწყოთ, რომ ევროპის ღია კარში შესვლისას ჩვენ თვითონ მხოლოდ საქართველოს წარმოვადგენთ!




# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge




იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიფცვაა, ფცუილებით და ჭიბებით ბუტთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


სამშაბათი, 28 მარტი. 2017 წ. №65 (8202), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.


## მესაზღვრე კონტროლიორები მოქალაქეებს დამატებით კონსულტაციებს გაუწევენ

**შინაგან** საქმეთა მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა ხელი მოაწერა ბრძანებას, რომლითაც, 28 მარტიდან, უვიზო მიმოსვლის ძალაში შესვლიდან, მესაზღვრე კონტროლიორებს ოფიციალურად დაევალებათ, დეტალურად გაესაუბრონ მგზავრებს, გაუწიონ კონსულტაცია და შეამოწმონ, მათი სამგზავრო დოკუმენტაცია არის თუ არა შენგენის ზონის ქვეყნების მოთხოვნებთან შესაბამისობაში.

**„იმ შემთხვევაში, თუ შემოწმებისას და გასაუბრებისას გამოვლინდება, რომ რომელიმე დოკუმენტი არ შეესაბამება შენგენის ზონაში საზღვრის კვეთისთვის საჭირო სტანდარტებს, რაც, თავისთავად, გულისხმობს იმას, რომ აღნიშნულ პირს, მაღალი ალბათობით, არ შეუშვებენ ევროკავშირში, მესაზღვრე კონტროლიორი ამის თაობაზე მას წინასწარ გააფრთხილებს და მოსალოდნელ შედეგებსაც განუმარტავს“,** — განაცხადა საგანგებოდ გამართულ პრეს-კონფერენციაზე შინაგან საქმეთა მინისტრმა.

## ლატვიის პრეზიდენტი საქართველოს მეუღლესთან ერთად ეწვია

**თბილისის** საერთაშორისო აეროპორტში რაიმონდს ვეიონისს პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ერთად შინაგან საქმეთა მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დახვდნენ.

**ეს, პრეზიდენტის რანგში, ვეიონისის პირველი ვიზიტია საქართველოში. ქართული მხარე განსაკუთრებით მნიშვნელოვნად აფასებს ამ ვიზიტს,იმ ფონზე, როცა საქართველოსთვის ევროპასთან უვიზო რეჟიმი უნდა ამოქმედდეს. ლატვია საქართველოს მხარდამჭერია ამ პროცესში,** — აცხადებენ ხელისუფლების წარმომადგენლები.

## საფრანგეთის უმსხვილესი ბიზნეს-გაერთიანების „MEDEF“-ის წარმომადგენლები საქართველოში

**პირველი** ვიცე-პრემიერი, ფინანსთა მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი საფრანგეთის უმსხვილესი ბიზნეს-გაერთიანების „MEDEF“-ის დელეგაციას შეხვდა, რომელსაც ორგანიზაციის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი კრისტოფ ფონტენი ხელძღვანელობს. დელეგაციას ასევე წარმოადგენდნენ ისეთი მსხვილი ფრანგული კორპორაციების ხელმძღვანელი პირები, როგორიცაა „ეარბასი“, „ალსტრომი“, „სოსიეტე ჟენერალი“, „პომა“, „ობერტიური“, „ივეკო ბასი“, „ბიურო ვერიტასი“ და სხვ. **შეხვედრას ასევე დაესწრნენ საქართველოს ელჩი საფრანგეთში ეკატერინე სირაძე-დელონე და ფინანსთა მინისტრის მოადგილე ნიკოლოზ გაგუა.**

პირველმა ვიცე-პრემიერმა დიმიტრი ქუმსიშვილმა „MEDEF“-ის დელეგაციის წევრებს საქართველოს ეკონომიკური მაჩვენებლები გააცნო. თავის პრეზენტაციაში მან ვრცლად ისაუბრა ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებისა და ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ. დიმიტრი ქუმსიშვილმა ფრანგული ბიზნესის წარმომადგენლებს გააცნო საქართველოს მთავრობის 4-პუნქტიანი სტრატეგია, ცვლილებები საგადასახადო კანონმდებლობაში, საინვესტიციო შესაძლებლობები, სტრუქტურული და მმართველობითი რეფორმები, რომლებიც ქვეყანაში მდგრად ეკონომიკურ ზრდას უზრუნველყოფს. „MEDEF“-ის დელეგაციის ვიზიტი საქართველოში ორ დღეს გასტანს.

## დავით რაქვიაშვილი სერ გარი ჯონსონს შეხვდა

**საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი დავით რაქვიაშვილი დიდი ბრიტანეთის მთავრობის მრჩეველს უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საკითხებში სერ გარი ჯონსონს შეხვდა.**

შეხვედრაზე რეგიონში შექმნილი უსაფრთხოების გარემო მიმოიხილეს და შავი ზღვის აუზსა და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე მილიტარიზაციით გამოწვეულ საფრთხეებზე იმსჯელეს.მხარეებმა შავი ზღვის უსაფრთხოების არქიტექტურაში საქართველოს აქტიური ჩართულობის შესაძლებლობები განიხილეს.



**ლონდონში გარდაიცვალა 109 წლის ქართველი ემიგრანტი, გორელი ალექსანდრე ბესტავაშვილი**

## საღაც იყოს ბედი შენი...

ალექსანდრე ბესტავაშვილს დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს დედოფალმა მისალოცი ბარათი გაუგზავნა.


I am so pleased to know that you are celebrating your one hundredth birthday on 1st November, 2008. I send my congratulations and best wishes to you on such a special occasion.

Elizabeth R

Mr. Alexandre Bestavachvili

6-7

## ჩვენ... ფარისევლები და მშიშრები!



5

8

## აპრილიდან სიგარეტის გადაგდების გამო ჯარიმა 80 ლარი იქნება!

## თომას დევაალი: ჯოხარ დუდაევი და ზვიად გამსახურდია ასე ატარებდნენ მარტოსულ და გაყინულ საღამოებს

11



# გავზარდოთ სუამ-ის სატრანსპორტო დერეფნის კონკურენტუნარიანობა!

საქართველოს მთავრობის მეთაურმა უკრაინელ კოლეგას მასპინძლობისთვის მადლობა გადაუხადა და იმედი გამოთქვა, რომ შეხვედრა ორგანიზაციის ფარგლებში პოლიტიკური და სექტორული თანამშრომლობის განმტკიცებას შეუწყობს ხელს.

პრემიერის თქმით, საქართველოს თავმჯდომარეობის პროგრამა შემთხვევით არ იყო წარმოდგენილი დევიზით – **„ერთად ძლიერი სუამ-ისთვის“,** რადგან ორგანიზაციას, როგორც არასდროს, სჭირდება მისი წევრების პოლიტიკური კონსოლიდაციის გამყარება, რათა ყველა დასახულ მიზანს მიაღწიოს.

**„დღეს გლობალური და რეგიონალური გამოწვევები გვავალდებულებს, განვამტკიცოთ ჩვენი ურთიერთქმედება სუამ-ის ფარგლებში, ასევე საერთაშორისო სარბიელზე. ტერიტორიული მთლიანობა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ პრობლემას და ერთობლივ გამოწვევას სუამ-ის წევრი ქვეყნებისთვის. გადაუჭრელი კონფლიქტები სუამ-ის რეგიონში კვლავ აბრკოლებს ჩვენს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას. ამასთან დაკავშირებით, სუამ-ის ხმა უნდა ჟღერდეს რაც შეიძლება ხმამაღლა. ყველა ჩვენგანისთვის მნიშვნელოვანია, უფრო აქტიურად გამოვიყენოთ სუამ-ის პოტენციალი ფართო საერთაშორისო მხარდაჭერისა და ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის ფაქტებთან დაკავშირებით ადეკვატური რეაქციის მიღწევის მიზნით“,** – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

პრემიერის თქმით, საქართველო, როგორც თავმჯდომარე ქვეყანა, მიიჩნევს, რომ დარგობრივი თანამშრომლობის წარმატებული განვითარება პოლიტიკური ურთიერთქმედების განმტკიცებასა და წევრი ქვეყნების ერთობლივი და ინდივიდუალური ეკონომიკური ინტერესების მიღწევას შეუწყობს ხელს.

**„გასული 20 წლის განმავლობაში ჩვენ შევიძინეთ მნიშვნელოვანი გამოცდილება სუამ-ის ფარგლებში ერთობლივი და ურთიერთმომგებიანი პროექტების რეალიზაციისას ისეთ სფეროებში, როგორებიცაა ვაჭრობა, ეკონომიკა, ტრანსპორტი, ტურიზმი, სამართალდამცავი საქმიანობა და კიბერუსაფრთხოება. დღეს ჩვენს წინაშე გადაშლილია ფართო შესაძლებლობები და ჩამოყალიბებულია აუცილებელი ინსტიტუციური პოტენციალი, სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების გასამყარებლად და გასაფართოებლად, ეკონომიკური ინტეგრაციის გასაღრმავებლად, არა მარტო სუამ-ის წევრ სახელმწიფოთა შორის, არამედ პარტნიორობით დაინტერესებულ ქვეყნებთანაც. დარგობრივი თანამშრომლობის აქტივიზაციისთვის ინიციატივები და წინადადებები ერთობლივი პროექტებისთვის უნდა გენერირდეს სწორედ დარგობრივ სამინისტროებში“,** – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, საქართველოს მთავრობა მიესალმება დოკუმენტების ხელმოწერას, რომლებიც სუამ-ის თავისუფალი ვაჭრობის ზონის ფუნქციონირების სრულყოფასა და სუამ-ის სატრანსპორტო დერეფნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას ისახავს მიზნად.

**„ამ მიღწევების მიუხედავად, დაუსრულებელი რჩება შეთანხმების პროცესი ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა საქონლის წარმოშობის ქვეყნის თაობაზე. საქართველო, რომელიც ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში კოორდინირებას უწევს სუამ-ის თავისუფალი სავაჭრო ზონის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შეთანხმების პროცესს, დაჟინებით მოუწოდებს ყველა ქვეყანას, კონსტრუქციულად მიუდგნენ და მიიღონ საბოლოო პოლიტიკური გადაწყვეტილება ზემოხსენებული დოკუმენტის სასწრაფოდ ხელმოწერის მიზნით. ჩვენი ქვეყნების გეოგრაფიული მდებარეობა საშუალებას გვაძლევს გავაძლიეროთ და გავზარდოთ სუამ-ის სატრანსპორტო დერეფნის კონკურენტუნარიანობა. ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ ერთობლივი ძალისხმევის აქტივიზაციას სუამ-ის სატრანსპორტო დერეფნის განვითარების კონცეფციის იმპლემენტაციისათვის. დარწმუნებული ვარ, ამ მიზნის მიღწევა პოზიტიურად აისახება ჩვენი ეკონომიკების განვითარებასა და შემდგომ რეფორმირებაზე და მოიტანს ხელშესახებ შედეგებს როგორც ჩვენი მეწარმეებისათვის, ისე მთლიანად საზოგადოებისათვის“,** – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

პრემიერ-მინისტრმა დადებითად შეაფასა სუამ-ის პირველი ბიზნესფორუმის ჩატარება, რომელიც ხელს შეუწყობს სამეწარმეო წრეებისა და კერძო კომპანიების დაახლოებას. მისი თქმით, მსგავსი ფორუმების რეგულარულად ჩატარება ურთიერთსასარგებლო პროექტების შემუშავებასა და რეალიზაციას შეუწყობს ხელს.

**„როგორც თავმჯდომარე, მიზანშეწონილად ვთვლი აღვნიშნო სუამ-ის პარტნიორებთან (აშშ, იაპონია) აქტიური ურთიერთქმედების განსაკუთრებული მნიშვნელობა, ასევე სუამ-ი პლუსი - ახალი ფორმატების განვითარება თანამშრომლობაში დაინტერესებულ ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კონკრეტული ინიციატივებისა და ერთობლივი მრავალმხრივი პროექტების შემუშავებისა და რეალიზაციის შესაძლებლობების გამოკვლევას. სუამ-ის არსებობის 20 წლის განმავლობაში ჩვენმა ქვეყნებმა განავითარეს მჭიდრო და მტკიცე თანამშრომლობა პარტნიორობისა და ურთიერთპატივისცემის საფუძველზე. მხოლოდ კონსოლიდირებული ძალისხმევით გახდება ეს ორგანიზაცია უფრო ძლიერი, ხოლო ჩვენი ქვეყნები – უფრო აყვავებული. 2017 წელი წარმოადგენს განსაკუთრებულ წელს სუამ-ისა და საქართველოსათვის, ჩვენი თავმჯდომარეობის კონტექსტში. ყველა ამ მიზნის მისაღწევად, რომლებზეც ვისაუბრე, ჩვენ თქვენი მხარდაჭერის იმედი გვაქვს, იმ პრინციპებიდან გამომდინარე, რომლების მიხედვითაც თავიდანვე შეიქმნა ეს ფორმატი. საქართველო კვლავ ადასტურებს სუამ-ისადმი ერთგულებას და განზრახვას, განაგრძოს აქტიური მხარდაჭერა ჩვენი თანამშრომლობის განმტკიცებისა და გაღრმავებისთვის“,** – აღნიშნა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას.

სხდომის შემდეგ ხელი მოეწერა ოქმებს მონაწილე სახელმწიფოთა შორის თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ **„2002 წლის 20 ივლისის შეთანხმების ხელშემკვრელ მხარეთა მოქმედებების მაკოორდინირებელი სამუშაო ორგანოს შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“** და **„სუამ-ის წევრ სახელმწიფოთა საბაჟო ადმინისტრაციებს შორის სუამ-ის წევრ სახელმწიფოთა საზღვარზე გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლის ცალკეული შედეგების ურთიერთაღიარების შესახებ“**. დოკუმენტებს საქართველოს მხრიდან ხელი მოაწერეს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე გენადი არველაძემ და შემოსავლების სამსახურის უფროსის მოადგილე ვახტანგ ლაშქარაძემ.

## „საქართველო იბრუნებს მის კუთვნილ ისტორიულ ადგილს ევროპულ თანამეგობრობაში“

საქართველოს მოქალაქეები ევროპაში უვიზო მიმოსვლას დღეიდან შეძლებენ. უვიზოდ მოგზაურობის უფლება ექნება საქართველოს ყველა მოქალაქეს, მათ შორის, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებლებსაც. ვიზალიბერალიზაციის მნიშვნელობასა და უვიზო მიმოსვლის დეტალებზე განცხადებები პარლამენტში გაკეთდა.

**„გადაწყვეტილება ისტორიულია არა მარტო იმიტომ, რომ ტექნიკურად მარტივდება ჩვენი მოქალაქეებისთვის ევროპაში მოგზაურობა და ევროპის ქვეყნების კარი იღება ჩვენთვის, ეს დღე გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია. ეს დღე არის სიმბოლო იმისა, რომ საქართველო იბრუნებს მის კუთვნილ ისტორიულ ადგილს ევროპულ თანამეგობრობაში“,** – განაცხადა ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ თამარ ხულორდავამ.

## ვიზალიბერალიზაციით ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ჩვენი მოქალაქეებიც ისარგებლებენ

საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე აცხადებს, რომ საქართველოს ამბიციაა, ევროკავშირის სრულფასოვანი წევრი გახდეს, რისთვისაც საჭიროა, ქვეყანა პრაქტიკული თვალსაზრისით, მაქსიმალურად მოემზადოს. მისი თქმით, საქართველოს მთავრობის მიერ წლების განმავლობაში განხორციელებული რეფორმებისა და ევროპული ინსტიტუტებისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ საქართველოსთვის გამოხატული უდიდესი ნდობისა და მხარდაჭერის შემდეგ, 28 მარტიდან საქართველოს მოქალაქეები შენგენის ზონის ქვეყნებში გადაადგილებას თავისუფლად შეძლებენ.

საგარეო უწყების ხელმძღვანელის განმარტებით, დღევანდელ გლობალურ და ცვალებად სამყაროში უაღრესად მნიშვნელოვანია საქართველოს მოქალაქეები ევროპის ტერიტორიაზე მარტივად მოგზაურობდნენ, ვინაიდან, ევროპაში უვიზო მიმოსვლა თავისუფალ სამყაროში დაუბრკოლებელ გადაადგილებას ნიშნავს.

**„უვიზო მიმოსვლის შემოღება ხელს შეუწყობს ხალხთაშორისი ურთიერთობების განვითარებას, ბიზნესკავშირების გაღრმავებას, სტუდენტების გაცვლითი პროგრამების გააქტიურებას და სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებს შორის პარტნიორული კავშირების ჩამოყალიბებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებული ყველა სარგებელი ხელმისაწვდომი იქნება ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ჩვენი მოქალაქეებისათვის.**

**ევროკავშირში უვიზოდ გადაადგილება ერთ-ერთია იმ ხელშესახებ სიკეთეთაგან, რომელსაც ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების შედეგად ღებულობენ. სასიხარულოა, რომ ქართველი საზოგადოების უდიდესი ნაწილი სწორად აღიქვამს ევროკავშირს, მის ჭეშმარიტ ღირებულებებს და მასთან დაახლოების შედეგად მიღებულ სარგებელს, თუმცა ასევე მნიშვნელოვანია ჩვენს თანამემამულეებს კიდევ უფრო მეტი ინფორმაცია ჰქონდეთ ევროკავშირის კონკრეტული პროექტების, პროგრამებისა და დახმარების შესახებ, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ხორციელდება და მომავალში კიდევ უფრო დიდ მასშტაბებს შეიძენს“,** – განაცხადა მიხეილ ჯანელიძემ.

## პრეზიდენტი ე.წ. მოსმენების შესახებ კანონპროექტს ხელს აწერს

ამის შესახებ საპარლამენტო მდივანმა ანა დოლიძემ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში სპეციალურად გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

**„საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ფარული საგამოძიებო მოქმედებების, ე.წ მოსმენების ახალი სისტემა უნდა ამოქმედდეს 2017 წლის 31 მარტიდან. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პარლამენტმა არ გაითვალისწინა, პრეზიდენტი მოტივირებული შენიშვნები, ე.წ. ვეტო მოსმენების კანონთან დაკავშირებით, ამით, ფაქტობრივად, ხელიდან გავუშვით შესაძლებლობა, შეგვექმნა თვისობრივად ახალი დამოუკიდებელი სისტემა, პრეზიდენტი პატივს სცემს საკონსტიტუციო სასამართლოს, მის გადაწყვეტილებას, ხელს აწერს იმ კანონს, რომელიც პარლამენტმა მიიღო. ამავე დროს, საზოგადოებისთვის ცნობილი იქნება ის ფაქტი, რომ მრავალი ორგანიზაცია თუ ადამიანი აპირებს, რომ ახალი სისტემის შექმნისთვის იბრძოლოს სხვადასხვა სამართლებრივ ასპარეზზე, იქნება ეს საკონსტიტუციო სასამართლოში თუ სტრასბურგში,“** – განაცხადა ანა დოლიძემ.

პრეზიდენტმა ე.წ. მოსმენების შესახებ კანონპროექტს ვეტო დაადო, თუმცა ის საპარლამენტო უმრავლესობამ დაძლია და ხელმოსაწერად გიორგი მარგველაშვილს გადაუგზავნა.

◎ უსირცხვილონი

# ნიკა ფოქსი და მარჯვნივ გადახრილი ფილოსოფია

**„რუსთავი-2“-ში ხელისუფლების წინააღმდეგ გაავებული დემარში, რომელსაც ნიკა გვარამიას ენაზე „თავისუფალი სიტყვისთვის ბრძოლა“ ჰქვია, ახალ ფაზაში შედის. ძმებ ყარამანიშვილების ინიციატივას, „თავიანთი ქონებიდან“ ტელეარხისთვის 40 პროცენტის ნებაყოფლობით, კეთილი ნებით დათმობის შესახებ, რაც როგორც საზოგადოება ვარაუდობს, ისევეა ყარამანიშვილებიდან წამოსული, როგორც დედამიწაა ბრტყელი და თანაც ოთხ სპილოზე დგას, ნიკა გვარამიამ ახალი ინიციატივით უპასუხა, 51 პროცენტის, ანუ საკონტროლო პაკეტის გადმოცემა ჯობს, კოლექტივის წევრებს დავურიგებთ წილებადო.**

ამ გენიალური წინადადების ავტორს რაც უდევს შავ გულში, სწორედ რომ იოლი გამოსაცნობია, მაგრამ ბუზანკალ ნიკას ტყუილა ჰგონია, რომ მისი ყველა თანამშრომელი მუხლებს იტყავებს მასზე ლოცვით. ეს აშკარად ჩანს სოციალურ ქსელში გავრცელებული კომენტარებითა და პოსტებით.

მაგალითად, ჟურნალისტი ნინო ჯღარკავა წერს: „რუსთავი 2“-ში გამართული კრება წილების გადანაწილებაზე, პროტესტის ნიშნად დატოვეს „კურიერის“ ჟურნალისტებმა თამარ ბაღაშვილმა, ნათია ტრაპაიძემ, დავით კაკულიამ, ეკა გაგუამ და ნათია გოქსაძემო. მათ თურმე სანდრო ეულის ქუჩაზე მდებარე კაფე „ესტრადას“ მიაშურეს და მოვლენებს შორიდან აკვირდებოდნენ ფინჯან ყავით ხელში. თანაც, ნიკა და ნიკიტები ძალიან კი ელოდნენ, მაგრამ არც მიშა სააკაშვილს დაურეკია უკრაინიდანო.

ნიკა გვარამია ერთდროულად ორ ფრონტზე იბრძვის. პირველზე უკვე მოგახსენეთ. მეორე კი ამ „ხალხზე გადამკვდარი“, „უანგარო“ მოღვაწის უსინდისოდ ზემაღალი ანაზღაურება გახლავთ, რამაც გააოგნა ჩვენი მშიერი საზოგადოება და ნიკას ავტორიტეტი, ცოტა არ იყოს, შეარყია. ჰოდა, მანაც უმალ იმართლა თავი... მათ, ვისაც ჩემი ხელფასი გალაპარაკებთ, განგიმარტავთ, რომ ორჯერ მეტი ხელფასი და 8-საათიანი სამუშაო დღე მქონდა, სანამ „რუსთავი-2“-ში მოვიდოდი. გრცხვენოდეთ (რატომ, შე ფინთიკოზა, რას გვემართლები, რა გითხარით, მხოლოდ ის, რომ ღორი ყოფილხარ!) და ისიც გახსოვდეთ, რომ 20 ათასდოლარიანი ხელფასი ნამდვილად არ მაკვირვებს და არც ჩემი შესაძლებლობის ზღვარი. დღემდე მაქვს ბევრად უკეთესი შემოთავაზებები, ფულზე ყველაფრის დამყვანო ხამებოო!

აი, ასე გაავებული წერს ფეისბუქში „კოპწია“ ნიკა და „ხამებს“ შეგვახსენებს, რომ თვითონ სხვაა, ხალხი სხვაა, შუა უძევს დიდი ზღვარი. შენ რომ 20 ათას დოლარს გიხდიან თვიურად, იმიტომ კი არა, რომ მართლა ღირხარ ამ ფასად (20 ათასდოლარიანი ხელფასი არ მაკვირვებსო!), არამედ იმიტომ, რომ ენა გაწაფული გაქვს, ქვეყნის წინააღმდეგ შინ და გარეთ ტლიკინში! თურმე უკეთესი, უფრო ძვირი შემოთავაზებაც გქონია და იქნებ ინგლისელი გაი ფოქსივით გატენო პარლამენტი დენთით და ფითილსაც მოუკიდო!..

**მაბრამ** მხოლოდ ნიკა გვარამია რომ ჰყავდეს ჩვენს სახელმწიფოს ძირგამომთხრელი და აშკარა მტერი, კიდევ რა გვიჭირდა. იმასაც თვალნათლივ ვხედავთ, როგორ თანდათან იხრება მარჯვნივ ქვეყნის პრეზიდენტი...

ჩვენი დასაფსები ყურებით მოვისმინეთ, როგორ გოდებდა პრეზიდენტი მარგველაშვილი, ჩემი ოჯახის ირგვლივ რაღაც საეჭვო ფუთფუთია, ჩემი ოჯახის წევრებს ხშირად აწუხებენ სამართალდამცავებიო. იგულისხმებოდა პრეზიდენტის ოჯახის წევრების ხშირად შეწუხება უსაფუძვლოდ, ბოროტგანზრახულად, ჩასაფრებით, „ზევიდან“ კარნახით, აი, ისე, როცა პრეზიდენტის ოჯახის რომელიმე წევრი ან მისი მეგობარი ზის თავისთვის სახლში, წიგნს კითხულობს, ან პრეზიდენტის ახალი, ცხელ-ცხელი ვეტოს შინაარსს ეცნობა, ამ დროს ვიღაცის (შეიძლება სულაც ბიძინა ივანიშვილის) მითითებით, შემოიჭრებიან ნიღბიანი სპეცრაზმელები და ამ უიღბლო ოჯახის წევრს „კუტუზკაში“ გააქანებენ, თან გზაში იმ ვეტოს ნაცვლად ჯიბეში კილონახევარ ნარკოტიკს ჩაუჩურთავენ.

ჩვენი პრეზიდენტი, მოგეხსენებათ, განათლებული კაცია, განსაკუთრებით — ფილოსოფიური განხრით, ანუ თხემით ტერფამდე ფილოსოფოსია. ფილოსოფოსის მიმართ კი საზოგადოების დამოკიდებულება ერთობ მომთხოვნია.

ანუ როცა ფილოსოფოსი პრეზიდენტი ამბობს, ჩემი ოჯახის წევრებს საეჭვოდ ხშირად აწუხებენო, საზოგადოება უმალ სვამს შემხვედრ კითხვას: პრეზიდენტის ოჯახის წევრთა ხშირი შეწუხება სამართალდამცავთა მიერ, ეს სამართალდამცავთა ბოროტი განზრახულობის ან უფრო მეტი — ხელისუფლების ჩასაფრების, მისი ინსინუაციების შედეგია თუ არის მესამე მიმართულებაც — თვითონ პრეზიდენტის ოჯახის წევრთა და მათი გარემოცვის პირდაპირ რეციდივული სამართალდარღვევები, რომელთა მიმართაც ამოუხსნელი თუ პირიქით, ადვილად ასახსნელი მიზეზებისა გამო პრეზიდენტი საარაკოდ იბრძვის თვალს და ნაცვლად იმისა, რომ შარვლიდან ქამარი შეიხსნას და ოჯახის წევრებს და მათ მეგობრებს უკანალები აუჭრელოს, ამ „ოჯახის წევრების“ მიმართ სამართალდამცავი ორგანოების რაღაც მითიურ დევნაზე ფილოსოფოსობს. ის კი არა, მისი ქალიშვილი ანა მარგველაშვილიც კი გამოდგა იმ დღეს ტელეეკრანზე და ლამის დედა აგინა ამ ღვთისგარეგან სამართალდამცველებს, ვიღაც „ოჯახის მეგობრების“ მიმართ განხორციელებული დევნის გამო, თუმცა ეს „მეგობარი“ შეიძლება აშკარად გამოხატული დამნაშავე იყო.

არადა, პრეზიდენტის ფარული მტრების მცდელობით მისი საახლობლოსთვის დაბრალებათა ნუსხა საკმაოდ ტევადი და უხვია: ხულიგნობა, ცემა-ტყეპა, ნარკოტიკები... რაც მთავარია, ბატონო პრეზიდენტო, აიღეთ და ჩამოწერეთ (ერთხელ და სამუდამოდ დაგვაკვალიანეთ), ვინ არიან თქვენი ოჯახის ეს წევრები, შვილების, გერების, სიძეების, მათი მამიდაშვილებისა და თანაკლასელების გარდა!

**სირცხვილის გრძნობა სულ არ გაწუხებთ, ფილოსოფოსო პრეზიდენტო?!**

**ალეკო ასლანიშვილი**

◎ წერილი აბაშიდან

# დროა, დავფიქრდეთ!

**ბატონ** ამირან კიღურაძის სტატიაში „რას არ იკადრებენ კადრები“, ბათუმის მოვლენებთან დაკავშირებით, ყველა საკითხი მთელი სიმწვავითაა განხილული.

30 წელი ვემსახურებოდი რაიონში წესრიგის დაცვას და ვხედავდი, რომ რაიონში ყველა საკვანძო თანამდებობაზე სხვა რაიონიდან ჩამოყვანილი კადრები ინიშნებოდნენ. პენსიაზე გასვლამდე ბოლო 6 წელიწადი ვიმუშავე შინაგან საქმეთა აბაშის რაიონული განყოფილების უფროსად, რაც მაშინდელი რაიკომის პირველი მდივნის, ბატონ გურამ გუნავას დამსახურება იყო, ვინაიდან შს სამინისტროში კადრების საკითხს რუსი გენერალი ხელმძღვანელობდა და არაფრით არ სურდა ადგილობრივი კადრის დანიშვნა. როგორც იქნა ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე დამამტკიცეს და ცოტა ხანში მაშინდელი შს მინისტრად ახლად დანიშნულ ბატონ შოთა კალანდაძესთან შევედი თხოვნით, მოეცა უფლება, განყოფილება ადგილობრივი კადრებით დამეკომპლექტებინა. როცა კადრების საკითხში ანალიზს გაეცნო, თანხმობა მივიღე, რამაც შემდგომში გარკვეული დადებითი შედეგები გამოიღო. საზოგადოებასთან კადრების საკითხში პრობლემა არ მქონია. კანონის დარღვევა დაუშვებელი იყო. რაიონის პროკურორი კანონიერების დაცვის საკითხებს სისტემატურად სწავლობდა. რაიკომის ბიურო და რაისაბჭოს აღმასკომი სისტემატურად ისმენდნენ ჩვენს ანგარიშებს რაიონში დამნაშავეობის წინააღმდეგ არსებული მდგომარეობის შესახებ და ვიღებდით ერთობლივ გადაწყვეტილებას მომავალში დამნაშავეობის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის განსახორციელებლად.

დღეს სხვა სიტუაციაა. რაიონებში, მათ შორის აბაშაში, არ არის პროკურორი, არ არის მოსამართლე. პოლიცია აგვარებს დავის საქმეებს, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა არ არის საქმის კურსში დამნაშავეობის მდგომარეობის შესახებ. ყოფილმა პრეზიდენტმა მ. სააკაშვილმა პოლიცია დამოუკიდებელ ერთეულად გამოაცხადა, აუკრძალა მათ ურთიერთობა მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელობასთან, ყოფილ თანამშრომლებს ახლო არ გვაკარებდნენ და ბოლოს ყველას „გაიშნიკი“ გვიწოდა.

ამ ურთულესმა მდგომარეობამ განაპირობა ის, რაც ამასწინათ აჭარაში მოხდა.

საქართველო ყველასია, მაგრამ საქმე ისეთ რეგიონთან გვაქვს, როგორიც აჭარაა, სწორედ ამიტომ კადრების თუ სხვა საკითხების გადაჭრის დროს უფრო ფაქიზი მიდგომა გვმართებს. ბევრ აჭარელს ვიცნობ და დამერწმუნეთ, რომ ისინი ჩვენზე მეტი პატრიოტები, ჩვენზე ღირსეული მამულიშვილები არიან.

პოლიცია და პროკურატურა ხალხს, საზოგადოებას არ უნდა მოსწყდნენ! რასაც ქვევით ვიტყვი, შეიძლება ვინმე შემომედავოს — „ეს ხომ კომუნისტურიაო“, მაგრამ კომუნისტებსაც ჰქონდათ კარგად მოგვარებული საქმეები. რა დაშავდება ამით, თუკი რაიონებში დააბრუნებენ მოსამართლეებს, პროკურორებს, რაიონის პოლიციის უფროსები ფორმალურად მაინც დაესწრებიან გამგებლის ყოველკვირეულ თათბირს, შეხვედრებს გუბერნატორ-რწმუნებულებთან, ყოველკვირეულად გაუგზავნიან ინფორმაციას მომხდარ დანაშაულებათა თუ დღე-ღამეში რაიონში არსებული მდგომარეობის შესახებ.

ყოველივე ეს პოლიციას დაახლოვებს საზოგადოებასთან, რაიონების, მხარეების პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან და არ გაჩნდება „ბათუმური“ თავსატეხის მსგავსი ვითარება.

ასეთი ღონისძიებების აუცილებლობაში ვეთანხმები ბატონ ამირან კიღურაძეს და დროა, დავფიქრდეთ და ვიმოქმედოთ ისე, როგორც საზოგადოებას სჭირდება. ჩვენ ძალიან რთულ გეოსტრატეგიულ რეგიონში გვიწევს ცხოვრება და თუ ერთად არ ვიქნებით, მტერი ადვილად მოგვერევა.

**ზაურ თელია,**
პენსიონერი, თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკი,
„ღირსების ორდენოსანი,
აბაშის „საპატიო მოქალაქე“.

# რიმა ბერაძე: დღეს თბილისის მერის სარეზერვო ფონდი 1 050 000 ლარს შეადგენს და ის მთლიანად მოხმარდება „ბავშვთა სამყაროს“ ხანძრით დაზარალებულებს

თბილისის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოსთვის“ თავმჯდომარე რიმა ბერაძის თქმით, ოცი დღის წინათ, როდესაც „ბავშვთა სამყაროს“ დაზარალებულებმა საკრებულოს მიმართეს, თბილისის მუნიციპალიტეტის ფრაქცია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოსთვის“ უმრავლესობის სხვა წევრებთან ერთად ამ საკითხის მოგვარებაში ჩაერთო. საუბარი იყო დაზარალებულებისთვის ერთჯერადი დახმარების გამოყოფაზე.

**„თავდაპირველად, ბავშვთა სამყაროს ხანძრის შედეგად დაზარალებულთა მიერ წარმოდგენილ სიაში 273 ადამიანი იყო. აღნიშნული სიის მიხედვით თანხის გაცემის შემთხვევაში, თითოეული დაზარალებულისთვის გაცემული ერთჯერადი დახმარება ბუნებრივია, უფრო მეტი იქნებოდა, თუმცა პარასკევს წარმოდგენილ სიაში დაზარალებულთა რიცხვი 347-მდე გაიზარდა, შესაბამაისად, თითოეულზე გასაცემი თანხის რაოდენობა შემცირდა.**

**ამასთანავე აღვნიშნავ, რომ დღეს თბილისის მერის სარეზერვო ფონდი 1 050 000 ლარს შეადგენს და ეს თანხა „ბავშვთა სამყაროს“ ხანძრის შედეგად დაზარალებულ ადამიანებს მთლიანად მოხმარდება. იმ დაზარალებულებს კი, რომლებსაც მძიმე სოციალური მდგომარეობა აქვთ, რაიონულ გამგეობებთან ჩვენ დამატებით შუამდგომლობას (დღესაც სამ დაზარალებულს გავუწიე შუამდგომლობა)ვუწევთ, საიდანაც ისინი ჩვენს მიერ შეთავაზებული სამი ათასი ლარის გარდა დამატებით იღებენ სოციალურ დახმარებას. თუკი ჩემს მიერ გაკეთებული ეს შეთავაზება არის ზეწოლა და მუქარა, ამის განსჯა საზოგადოებისთვის მიმინდვია“,** — განაცხადა რიმა ბერაძემ.

# „თუ თქვენ არ დათანხმდებით 3 ათას ლარს, ამ თანხას უკან გავითხოვთ!“

**„ბავშვთა სამყაროს“ ხანძრის შედეგად დაზარალებულები აშშ-ის სალეჩოსთან შეიკრიბნენ.** ისინი დიპლომატიურ უწყებას საქართველოს ხელისუფლებასთან შუამდგომლობას სთხოვენ. მოვაჭრეები თბილისის საკრებულოს უმრავლესობის დეპუტატს რიმა ბერაძეს შანტაჟსა და მუქარაში ადანაშაულებენ:

**„საკრებულოდან ისმის უკვე მუქარები ამ ადამიანების მიმართ, რომ თუ თქვენ განაგრძობთ საპროტესტო აქციებს ჩვენ უკან გავითხოვთ თანხას. კიდევ ერთხელ იტყუება საკრებულო. ჯერ არანაირი თანხა გამოყოფილი არ არის...რიმა ბერაძე, რომელიც უშუალოდ ჩვენთან ახორციელებდა მოლაპარაკებებს, დაურეკია და ამ ხალხს ემუქრება, რომ თუ თქვენ არ დათანხმდებით 3 ათას ლარს, ჩვენ ამ თანხას უკან გავითხოვთ და გადავცემთ სოციალურად დაუცველებს“,** — აცხადებს დაზარალებულების ადვოკატი ფრიდონ სიხუაშვილი.

**მოვაჭრეების მოთხოვნები უცვლელია, ისინი დაზარალებულის სტატუსის მინიჭებას, საბანკო ვალდებულებების შეჩერებას, ასევე პრემიერთან შეხვედრას და ხელისუფლებისგან პირველადი კომპენსაციის სახით 5 ათას ლარს ითხოვენ. მათ საკრებულოს მიერ 3000-ლარიან შეთავაზებაზე უარი განაცხადეს. მოვაჭრეები უახლოეს დღეებში სხვა ქვეყნების დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან გამართავენ აქციას.**

◎ საპენსიო რეფორმა

# პენსიის „დაგროვებითი“ ჰორიზონტები

**ერთ-ერთი ყველაზე მწვავე სოციალური საკითხი, რომლის გადაწყვეტა ქართული ოცნების ხელისუფლებამ აქამდე ვერ შეძლო, საპენსიო რეფორმაა და, როგორც ჩანს, ამ მხრივ ერთიანი აზრი ჯერჯერობით ჩამოყალიბებულიც არ არის.**

ამის მტკიცების საფუძველს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის **დავით სერგეენკოს** მიერ გამოთქმული მოსაზრება მოწმობს, რომელმაც კერძოდ, აღნიშნა:

— შარშან საპენსიო რეფორმის ძირითადი მონახაზის შექმნა დასრულდა და პირველი ეტაპის დაწყების ვადა განისაზღვრა — 2017 წლის სექტემბერი, — თქვა მინისტრმა. — საჭირო იქნება შესაბამის კანონში ცვლილებების შეტანა და, ვფიქრობ, სექტემბრამდე საკმარისი დროა, რათა ყველა დეტალი განვიხილოთ და რეფორმა დათქმულ დროზე დაიწყოს.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის **გიორგი მახარაძის** თქმით კი, საპენსიო რეფორმა, რომელიც დაგროვებითი სისტემის დანერგვას გულისხმობს, მინიმუმ ერთი წელი დააგვიანდება, მისი საბოლოო კონტურები კი მარტში გახდება ცნობილი. სხვათა შორის, ამ აზრს პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე **აკაკი ზოიძეც** იზიარებს.

— უახლოეს პერიოდში კანონის „დრაფტინგის“ დასრულებას ვაპირებთ, რის პროცესში მსოფლიო ბანკისა და ზოგიერთი სხვა საერთაშორისო ორგანიზაციის სპეციალისტები არიან ჩართული, — აღნიშნა მან. — ამჟამად ღია განხილვები ეწყობა, პირველ ყოვლისა, ბიზნესწრეებსა და ასოციაციების წარმომადგენლებთან, შემოდგომაზე კი კანონს განსახილველად პარლამენტში შევიტანთ. ამჟამად მისი ამოქმედების ვადაზე მსჯელობა როგორც მთავრობაში, ასევე საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლებთან მიმდინარეობს, — დასძინა მინისტრმა.

სავსებით ბუნებრივია და სპეციალისტებიც ამას ერთხმად აღნიშნავენ, რომ ამჟამად ქვეყანაში მოქმედი საპენსიო სისტემისგან პრინციპულად განსხვავებულ დაგროვებით საპენსიო სისტემაზე გადასვლისას, რომლის ოდენობა, საბოლოო ანგარიშით, მომუშავე პირის მიერ „მომავლის საპენსიო ფონდში“ შენატანების ოდენობაზე იქნება დამოკიდებული, კაცმა ზუსტად უნდა იცოდეს, პენსიას რის საფუძველზე და რა ოდენობით მიიღებს.

ხაზს უსვამენ იმ გარემოებასაც, რომ ასევე საჭიროა მოქმედებდეს როგორც სახელმწიფო, ასევე დაგროვებითი საპენსიო სისტემები, რომლებმაც ერთმანეთი, გარკვეულწილად, უნდა გააწონასწორონ. საამისოდ კი საჭიროა სახელმწიფოს, მუშაკის დამქირავებელსა და მომავალ პენსიონერს შორის კონსენსუსის არსებობა, რომლის გარეშე სრულფასოვანი ურთიერთობები ვერ შედგება. ამიტომაც, დაგროვებითი საპენსიო სისტემის შემოღება უფრო დაკვირვებითაა საჭირო, ამ საქმეში აჩქარება არ ივარგებს.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ საპენსიო რეფორმის გარკვეულად განსხვავებული ვარიანტი აქვთ საქართველოს გაერთიანებულ პროფკავშირებში. მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელის **გიორგი ჭანტურიას** თქმით, მათი ვარიანტი მოსახლეობისთვის ბევრად მიმზიდველ უნდა იყოს.

— ჩვენი გეგმა სამი სვეტისგან შედგება: პირველია ამჟამად მოქმედი საბაზისო პენსია, მეორე — სავალდებულო, მესამე კი — კერძო, დაახლოებით ისეთი, როგორსაც სახელმწიფო საზოგადოებას ამჟამად სთავაზობს.

მიგვაჩნია, რომ დაგროვებითი პენსია პირზე სიცოცხლის ბოლომდე უნდა გაიცემოდეს და საპენსიო ფონდის ამოწურვის შემდეგ არ უნდა წყდებოდეს. მთავრობის გეგმა კი იმას ეფუძნება, რომ პენსია ფონდის შესაძლებლობის ფარგლებში უნდა იყოს მოქცეული და მის ამოწურვამდე გაიცემოდეს.

გაერთიანებულ პროფკავშირებში ასევე მიაჩნიათ, რომ საჭიროა სოლიდარობის ფონდის შექმნა, რომელიც დროებით უმუშევრებს, შრომისუნარიანობის დროებით დაკარგულ პირებსა და სადეკრეტო შვებულებაში გასულ მშობლებს დაახლოებით 6 თვის მანძილზე დააფინანსებს. ამასთან, ხაზს უსვამენ იმ გარემოებასაც, რომ ამ კატეგორიის პირებს არც საპენსიო თანხების დაგროვება უნდა შეუწყდეთ.

**ოთარ ტურაბელიძე**

# ახალწვეულებმა ფიცი დადეს

**სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ობიექტების დაცვის მთავარი სამმართველოს ახალწვეულებმა სამხედრო ფიცი დადეს. ღონისძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ობიექტების დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსი ბონდო ოჩიგავა, ადმინისტრაციის უფროსი მელანო ფანჯავიძე და ობიექტების დაცვის მთავარი სამმართველოს სტრუქტურული დანაყოფების ხელმძღვანელი პირები დაესწრნენ.**

სუს-ის ობიექტების დაცვის მთავარ სამმართველოში ახალწვეულები ერთწლიან სავალდებულო სამხედრო სამსახურს გაივლიან. შესაბამისი წვრთნების შედეგად, ისინი სამხედრო საქმიანობას შეისწავლიან და პროფესიულ უნარ-ჩვევებს შეიძენენ. სამხედრო ფიცის დადების შემდეგ, ობიექტების დაცვის მთავარი სამმართველოს წარჩინებულ სამხედრო მოსამსახურეებს მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისთვის მადლობის სიგელები გადაეცათ . ღონისძიებას ახალწვეულების ოჯახის წევრები ესწრებოდნენ.

◎ საარსებო მინიმუმი

# მაინც რა გვიჯდება „უბრალოდ არსებობა“?

**მასმედიის საშუალებებშიც, სოციალურ ქსელებშიც ბოლო დროს სულ უფრო ხშირად ლაპარაკობენ ეგრეთ წოდებულ „ოქროს მილიარდზე“, რომლის არსი ბევრისთვის, შესაძლოა, უცნობია. იმის გათვალისწინებით, რომ დედამიწაზე მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა, ფაქტობრივად, არანაირად არ კონტროლდება, თუ არ ჩავთვლით ამ მიმართულებით ჩინეთში დაკანონებულ შეზღუდვებს, რომლებიც ბოლო ხანებში რამდენადმე შესუსტდა, ასევე გამრავლების ხელის შემშლელ მკაცრ ბუნებრივ პირობებსა და არახელსაყრელ სოციალურ-ყოფით გარემოს, პლანეტის რესურსები კი ზღვრულია და შეზღუდული, მავანთა აზრით, მთელი მოსახლეობა, მაქსიმუმ, მილიარდ კაცს არ უნდა აღემატებოდეს. ამ აშკარად კაცთმოძულე თეზისის წარმოშობის ისტორიის განხილვასა და მისი წარმოშობის გარკვევას წინამდებარე მასალაში არ შევუდგებით, თუმცა კი ფაქტი ფაქტად რჩება, რომ მოსახლეობის რიცხოვნობის უსასრულო ზრდა სოციალურ-დემოგრაფიულ კატასტროფას გამოიწვევს. ამის თქმის საფუძველს არა მარტო დედამიწის მრავალ გაჭირვებულ რეგიონში საკვებისა და სასმელად ვარგისი წყლის მწვავე დეფიციტი იძლევა, არამედ გაცილებით უფრო უზრუნველყოფილ მხარეებში საკვებისა და ასევე წყლის დაბალი ხარისხი.**

ყოველივე ამაზე იმიტომ გავამახვილეთ ყურადღება, რომ მოსახლეობის შედარებით ნორმალურად არსებობისა და ჯანმრთელობისთვის ზიანის მიუყენებლად კვების მხრივ ჩვენში გარკვეული პრობლემები აგერ უკვე მეოთხედ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე არსებობს. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ ორგანიზაცია „ოქსფამ ჯორჯიას“ მიერ ახლახან ჩატარებულ გამოკვლევაში აღნიშნულია, რომ საქართველოში ოჯახების დიდ ნაწილს საკვების შეძენაზე 65 პროცენტი და მეტი ეხარჯება. მკვლევარები ყურადღებას აქცევენ იმასაც, რომ ქვეყანაში ძალიან მაღალია სოციალური დიფერენცირების დონე, დიდია იმ მოსახლეობის ოდენობა, რომელიც ქვეყანაში სადღეისოდ დადგენილი საარსებო მინიმუმის კარგა ხნის წინათ დრომოჭმული ნორმების უზრუნველყოფასაც ვერ ახერხებს.

საქსტატი საარსებო მინიმუმის ჩარჩოებში „ჩამჯდარ“ საომხმარებლო კალათის შემცველობასა და ოდენობას, 2003 წელს ჯანდაცვის მინისტრის ბრძანება განსაზღვრავს, რომელიც მხოლოდ 2300 კილოკალორიის შემცველი ოთხი ათეული დასახელების კვების პროდუქტს მოიცავს, მაგრამ კომუნალური, მათ შორის მოხმარებული ბუნებრივი გაზის, ელექტროენერგიის, სასმელი წყლის, გადასახადი, ასევე სატრანსპორტო და, მით უმეტეს, მედიკამენტოზური ხარჯი, მასში გასათვალისწინებელი არ არის. ზემოაღნიშნული ყოველდღე მოსახმარი 2300 კილოკალორია კი, ქვეყანაში სადღეისოდ მოქმედი საარსებო მინიმუმი შრომისუნარიან მამაკაცზეა გათვლილი, თორემ დანარჩენებს, ლოგიკას თუ მივყვებით, მათ შორის, ქალებს, ბავშვებს, ხანდაზმულებსა და ავადმყოფებს, უფრო ნაკლებიც „ჰყოფნით“.

საარსებო მინიმუმის დათვლის მეთოდოლოგიის შეცვლის აუცილებლობაზე ფუჭი ლაპარაკი წლების განმავლობაში მიმდინარეობს, ამ უმტკივნეულეს საკითხს ჩვენი გაზეთიც არაერთგზის გამოეხმაურა, თუმცა კი, როგორც ვხედავთ, ამ მხრივ ცვლილებები არც ახლო მომავალში უნდა იყოს მოსალოდნელი.

უნდა ითქვას, რომ ზემოაღნიშნულის თანახმად, გლობალური შიმშილის ინდექსით საქართველო მე-16 ადგილზეა 118 ქვეყანას შორის. კვლევაში ასევე ნათქვამია, რომ ამ ნუსხაში ადგილის განმსაზღვრელი მაჩვენებლები 2008 წლის შემდეგ არ გაუმჯობესებულა (!), თუმცა კი საერთო 8,2 ქულა საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია. ამ ინდექსის ოთხი კომპონენტიდან ყველაზე დაბალი შეფასება 10,9 ქულა — 5 წლამდე ასაკის ბავშვებში სიმაღლეში ჩამორჩენითაა განპირობებული. ეს კი, თავის მხრივ, პირდაპირაა დაკავშირებული არასრულფასოვან კვებასთან.

საგანგებოდ გვინდა აღვნიშნოთ ერთი მეტად საგულისხმო გარემოება: წლის მანძილზე ჩვენი გაზეთის ფურცლებზე დროდადრო დეტალურად მიმოვიხილავთ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) მიერ ამა თუ იმ თვის საარსებო მინიმუმის მონაცემებს, რაც, გასაგებ მიზეზთა გამო, თემის უაღრესი აქტუალობითაა განპირობებული, რომელიც ერთიანად მნიშვნელოვანია როგორც ეკონომიურად ძლიერი, ასევე გაცილებით სუსტი ქვეყნებისთვის.

ამ მონაცემებს საქსტატი ყოველი თვის შედეგების დაჯამების შემდეგ აქვეყნებს და ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდება ხოლმე, რაც ფასების სეზონური, ასევე ეროვნული ვალუტის კურსის ცვალებადობებითაა განპირობებული. ისიც უნდა ითქვას, რომ საარსებო მინიმუმი ჩვენში ასაკის გათვალისწინებით არ დგება, თუმცა კი ხანდაზმულ მოქალაქეთა რიცხოვნობის გავალისწინებით, რაც, უწინარესად, სხვებთან შედარებით გაზრდილი სამედიცინო და მედიკამენტოზური ხარჯის გათვალისწინებით, ასაკით პენსიის დადგენისას მეტად საგულისხმო ინფორმაციის მატარებელი იქნებოდა.

საქსტატის ბოლო მონაცემებით, წლის დამდეგიდან შრომისუნარიანი მამაკაცის ყოველთვიური საარსებო მინიმუმი 163,3 ლარს შეადგენდა — ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ეს ის თანხაა, რომელიც მისი ფიზიკური არსებობისთვისაა საჭირო. რაც შეეხება საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმს, ის კიდევ უფრო ნაკლებია და 147,3 ლარს უტოლდება. სამაგიეროდ, ორი სულისგან შემდგარ ოჯახს თვეში 235 ლარი ყოფნის, სამსულიანს — 265 ლარი, ოთხსულიანს — 294 ლარი, ხუთსულიანს — 331,4 ლარი, ექვსულიანს კი 391 ლარი სჭირდება.

ახლა ბევრი გვესმის იმის თაობაზე, რომ წინა ხელისუფლების მიერ დაშვებულ შეცდომებზე გაუთავებელ ლაპარაკს ბოლოს და ბოლოს წერტილი უნდა დაესვას, რომ არ შეიძლება სულ უკან ცქერა, დროა, მზერა მომავლის მანათობელ შუქურებს მივაპყროთ და სხვა. ასევე ხშირად იმასაც გვახსენებენ, რომ წინა ხელისუფლებას ნურც მიღწევებს დაუკარგავთ, რის თაობაზე, საარსებო მინიმუმთან დაკავშირებით, შედარებისთვის მხოლოდ ორ ციფრს მოვიყვანთ, დასკვნები კი თავად გამოიტანეთ ბატონებო: 2003 წლამდე ჩვენში საარსებო მინიმუმი 2500 კილოკალორიად იყო დადგენილი, მის შემდეგ კი ეს მაჩვენებელი, რაღაც სასწაული გზით, 2300 კილოკალორიაზე დავიდა — როგორც ჩანს, ასე უფრო ადვილი საანგარიშო იყო...

**დალი ხუნდაძე**

# ჩვენ... ფარისევლები და მეშიშრეები!

## ხშირად მიფიქრია: რისი ეშინია ყველაზე მეტად ურწმუნო ადამიანს?!

ადრე ცალსახად მეგონა, რომ ურწმუნო ადამიანს ყველაზე მეტად სიკვდილის ეშინია! თუმცა, როცა ბოლომდე ჩავუღრმავდი, მივხვდი, რომ არსებობს სხვა განცდაც, რომელსაც პირველი თუ არა, განსაკუთრებული ადგილი მაინც უჭირავს ჩვენს ცნობიერებასა და შეგრძნებაში, მაგრამ ამაზე საუბარს ყოველთვის გავურბივართ!

ვიდრე ამ „სხვა განცდაზე" ვისაუბრებდე, უპრიანია ვიკითხოთ: **რატომ ეშინია ურწმუნო ადამიანს სიკვდილის?!**

**ვფიქრობ, ურწმუნო ადამიანს სიკვდილის იმიტომ კი არ ეშინია, რომ იქ საშინელ სამსჯავროზე თავისი უღმერთო ცხოვრების წესის გამო ჯოჯოხეთის კუპრში ამოყოფს თავს, არამედ იმიტომ, რომ არ უნდა ამქვეყნიური ცხოვრება დაუმოკლდეს** (არადა, ერთ დროს ყველა ხომ იმ ქვეყნად მივდივართ)!

სამწუხაროდ, ადამიანში იშვიათად იღვიძებს ქვეცნობიერი, რომელიც მუდამ გაახსენებს: **რომ სული მარადიულია და იმ ქვეყნიური ხვედრი იმისდამიხედვით გერგება, რა სულიერ საუნჯესაც ამ სამყაროში დააგროვებ...**

**დიახ, ადამიანთა უმრავლესობას სულის მარადიულობისა და ღვთის სამართლიანი სამსჯავროსი რომ სჯეროდეს, ისინი ამქვეყნიურ განცხრომას არ მიეცემოდნენ და, უპირველესად, სწორედ სულის გადარჩენაზე იფიქრებდნენ** (ადამის მოდგმა ამაზე ფიქრით თავს რომ იწუხებდეს, ამქვეყნიურ სამოთხეშიც იცხოვრებდა და იმ ქვეყნიურის „საგზურიც" გარანტირებული ექნებოდა). ამ შემთხვევაში არ იქნებოდა მუდმივი ომები, ურთიერთსიძულვილი და აგრესია, რომელმაც ლამისაა წალეკოს სამყარო!..

**...და მაინც: რისი ეშინია სიკვდილის გარდა ყველაზე მეტად ურწმუნო ადამიანს?! თანდათან დავრწმუნდი, რომ ეს არის მისი უდიდებულესობა სიმართლე, რადგან, ის (სიმართლე) მუდმივ დისკომფორტს უქმნის და ხელს უშლის საკუთარი ქვენა გრძნობების დემონსტრირებაში.**

**დიახ, ჩვენ ყოველთვის მზად ვართ ვიცრუოთ, ოღონდ, ჩვენს „რეპუტაციას" ჩრდილი არ მიადგეს, ჩვენ ყოველთვის (ხშირად) თავს ვარიდებთ ერთმანეთს ვუთხრათ სიმართლე, რადგან, გვეშინია, რომ ამ სიმართლეს ისე არ მიიღებენ, როგორც უნდა მიიღონ და პრობლემებს შევიქმნით მათთან ურთიერთობაში — მათ კეთილგანწყობას დავკარგავთ და ხშირ შემთხვევაში გადავიმტერებთ კიდეც!**

**ჩვენ ყოველდღე ვატყუებთ ერთმანეთს (მუდმივად ვთამაშობთ) — ვფიქრობთ ერთს, ვამბობთ მეორეს, ვაკეთებთ მესამეს.**

ამის საუკეთესო ნიმუშია ქართული სუფრა, სადაც სადღეგრძელოში ტაბუდადებულია ადამიანს უთხრა ის, რასაც იგი სინამდვილეში წარმოადგენს და რასაც ობიექტურად იმსახურებს. დაუწერელი წესია: **აუცილებლად უნდა აქო და ადიდო, ციდან „ვარსკვლავი" უნდა ჩამოუტანო და არარაობისგან მისი არაჩვეულებრივი პორტრეტი უნდა გამოძერწო. ტრაგედია იმაშია, რომ არც იმას რცხვენია სიცრუის მოსმენის და არც შენ — ადამიანს არ დააბრალო ის, რაც სინამდვილეში არ არის!**

**განსაკუთრებით ვცრუობთ და ფეხქვეშ გავეგებით, თუ ვინმესგან გამორჩენას ველოდებით. თვალში შევციცინებთ, რომ მათი კეთილგანწყობა მოვიპოვოთ, მაგრამ როცა ფეხი გადაუბრუნდებათ, პირველი ჩვენ ვეძგერებით და ისე დავკორტნით, როგორც ქორი ან ძერა უმწეო წიწილებს!..**

მუდმივად იმის შიშში ვართ, რომ სიმართლეს ცუდად გაიგებენ და აუტკივარი თავის ატკივებას ვერიდებით. ვერ ვაცნობიერებთ, რომ რაც არ უნდა მწარედ მოსასმენი იყოს, სიცრუეს ყოველთვის სიმართლის თქმა სჯობს!

საკუთარი ხასიათიდან გამომდინარე (ალბათ, ეს ჩემი ჯვარია!), ხშირად ენა „გამირბის" ხოლმე და იმას ვამბობ და ვწერ, რასაც ვფიქრობ. ვატყობ, რომ ამით ხილულ თუ უხილავ მტრებს ვიმრავლებ, მაგრამ უკვე ნაკლებად მადარდებს, ვის ეწყინება და ვის არა!

**აქვე ლოგიკურად ისმება კითხვა: რა უპირატესობა აქვს ამ თვალსაზრისით ნიჭიერ, განათლებულ (ჩვენი გაგებით ინტელიგენტ) ადამიანს ჩვეულებრივი ადამიანებისგან განსხვავებით? არც არაფერი — თუ მისი ნიჭი და ინტელექტი შეზავებული არ არის რწმენასთან, ანუ თუ ღვთის მოშიში არ არის, მას გაცილებით მეტი ზიანის მოტანა შეუძლია, ვიდრე ჩვეულებრივ, გაუნათლებელ ადამიანს. ანუ, თავისი აზროვნების მასშტაბებიდან გამომდინარე, ის უფრო დიდი ფარისეველია!**

## როდის აგვეხილება „სულიერი თვალი"?!

სარკეში ხშირად ვიხედებით, მაგრამ, როგორც წესი, მხოლოდ საკუთარ ფიზიონომიას ვათვალიერებთ. ნაკლებად გვაინტერესებს, რა იმალება ჩვენი მზერის მიღმა. თუმცა, რომც დავინტერესდეთ, იქ დაბუდებულ სიცრუესა და თვალთმაქცობას მაინც ვერ შევამჩნევთ, რადგან, „სულიერი თვალი" დაბრმავებული გვაქვს, რაც ხელს გვიშლის რეალური სახე დავინახოთ!

**არ ჩანს პასუხი კითხვაზეც: გვეშველება რამე?**

**არაფერიც არ გვეშველება, თუ ჩვენ სულიერ ტრანსფორმაციას არ განვიცდით და უფლისა და სამშობლოსადმი დამოკიდებულებას არ შევიცვლით — ხელისუფლებაში მოკალათებულ დღევანდელ ფარისევლებს სხვები ჩაანაცვლებენ და ასე გაგრძელდება, ვიდრე სამყაროს აღსასრულამდე.**

დიახ, „სულიერი თვალის" ახელა რომ შეგვეძლოს, საკუთარ ფარისევლობას აშკარად დავინახავდით. მართალია, ფარისევლები ყველა დროსა და ეპოქაში იყვნენ, მაგრამ განსაკუთრებით, მათმა რიცხვმა საშიშ მასშტაბებს ჩვენს რეალობაში მიაღწია.

**ჩვენ ვცრუობთ თითქმის ყველგან და ყოველთვის — ვცრუობთ უტიფრად, მაგრამ ყოველთვის გვეშინია ამის აღიარების — იმდენად სუსტნი და სულმდაბალნი ვართ, სახეზე სინანულის ნიშანწყალიც არ გვეტყობა!**

**ვცრუობთ (ყოველ შემთხვევაში, ბოლომდე არ ვიხსნებით!) მოძღვართან აღსარების დროსაც.** აქაც ამპარტავნების ჭია გვღრღნის და ხელს გვიშლის ვაღიაროთ ის, რაც ნებსით თუ უნებლიეთ შევცოდეთ **— თითქოსდა უფალმა არ იცოდეს, რა უზნეოები და უსუსურები ვართ,** მაგრამ არ გვინდა გამოვტყდეთ **— ვერ ვაცნობიერებთ, რომ მხოლოდ გულწრფელი მონანიებით, გულწრფელი აღსარებით შევძლებთ ცოდვებისგან განთავისუფლებას.**

მე პირადად ძალიან მიჭირს აღსარებაში ბოლომდე გულწრფელი ვიყო — რაღაც შინაგანი ხმა ყოველთვის უკან მექაჩება. ასე მგონია, თუ ყველა ჩემს სისუსტეს ვაღიარებ და ბოლომდე გავშიშვლდები, ამით უფრო საცოდავი გამოვჩნდები. არადა, სიამაყის ჭია მიღრღნის სულს — ვფიქრობ, სხვაზე (მავანზე) მეტი გავაკეთე, სხვაზე მეტად პირდაპირი და ობიექტური ვარ, სინამდვილეში, კი...

მიუხედავად იმისა, რომ 10 წელზე მეტია, ეკლესიის მრევლი ვარ და სტიქაროსანიც გავხდი, შინაგანად ბევრად ვერ შევიცვალე. ერთი ეს არის, მოყვასისადმი სიყვარულისა და თანალმობის უნარი გამიორკეცდა. თუმცა, მაინც არ არის საკმარისი თავი დავიმშვიდო. **ჯერ კიდევ იმ სიმაღლემდე ვერ ავედი, რომ დავრდომილისა და გაჭირვებულისთვის უკანასკნელი თეთრი არ დავინანო (ჯერჯერობით ჩემი მოწყალება რკინის კუპიურებს ვერ გაცდა), არადა, საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი, როცა „გავრისკე" და ჯიბიდან უკანასკნელი ხურდა მოვიქექე, იმავე დღეს უფლისგან („გაეცი და მოგეცემა") 100-ჯერ მეტი საჩუქარი მივიღე. მიუხედავად ამისა (როგორც ვთქვი), ისე ვერ „გავიზარდე", რომ ასეთი „რისკები" ყოველდღიურ წესად ვაქციო!**

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია: **შეგვიძლია, უფრო გულწრფელი ვიყოთ ჩვეულებრივ ადამიანებთან (მეგობრებთან, „კეთილისმსურველებთან"), ვიდრე საკუთარ მოძღვართან, რომელსაც უფლის სახელით ველაპარაკებით.** არადა, იმდენად ეგოისტები ვართ ადამიანები, თანაგრძნობის ნაცვლად ხშირად მეგობრებთან ჩვენი „აღსარება" ბუმერანგივით უკან გვიბრუნდება. ხანდახან რჩევებსაც ვითხოვთ ახლობელი ადამიანებისგან და, სამწუხაროდ, არცთუ იშვიათად აღმოვაჩენთ, რომ მათი რჩევა კეთილსასურველი არ ყოფილა და ჩვენი გულუბრყვილობით უფრო და უფრო ვამწვავებთ პრობლემებს...

ქვესათაურში დასმულ რიტორიკულ კითხვაზე კი: **როდის აგვეხილება სულიერი თვალი, პასუხი ნამდვილად არა მაქვს, რადგან, „სულიერი თვალის" ახელას სულიერებაში გაძლიერება სჭირდება, რომლის ნება, დღევანდელ საზოგადოებაში ჯერჯერობით ნამდვილად არ ჩანს!**

აქედან გამომდინარე, არ ჩანს პასუხი კითხვაზეც: გვეშველება რამე?

**არაფერიც არ გვეშველება, თუ ჩვენ სულიერ ტრანსფორმაციას არ განვიცდით და უფლისა და სამშობლოსადმი დამოკიდებულებას არ შევიცვლით — ხელისუფლებაში მოკალათებულ დღევანდელ ფარისევლებს სხვები ჩაანაცვლებენ და ასე გაგრძელდება, ვიდრე სამყაროს აღსასრულამდე.**

თუ გვინდა გვეშველოს, სულიერებაში დაბინძურებული ველი უნდა გასუფთავდეს და „მშველელი" ჭეშმარიტად ქართული წიაღიდან უნდა აღმოცენდეს. იყოს ნება უფლისა და ნება თითოეული ჩვენგანისა!

## რატომ გვეშინია სიმართლის?

**„ფარისეველი"** უცხოური სიტყვაა და ქართულად **თვალთმაქცს, ცრუ, მატყუარა ადამიანს** ნიშნავს. სიცრუე კი სიმართლის ანტონიმია.

მართალი ადამიანი სანთლით საძებნი გახდა დღევანდელ ეპოქაში. არა მარტო ერში, არამედ ბერშიც ძალიან შეცოტავდა მართალი (სიმართლისთვის, უფლისთვის) შეწირული ადამიანების რიცხვი.

აქედან გამომდინარე, **სიცრუე, ფარისევლობა, ცხოვრების ნორმად იქცა - ცრუობენ დაქირავებულებიც და დამქირავებლებიც (ხელისუფლებაც და ხალხიც). თანამედროვე პოლიტიკოსებს რომ თავი დავანებოთ, ფარისევლობის ჭია ეკლესიაშიც შეიჭრა, რაც კიდევ უფრო აბრკოლებს ურწმუნო ადამიანს. დიახ, იმდენად აითქვიფა ყველაფერი ერთმანეთში, რომ სიმართლეს პატარა ჭუჭრუტანაც არ დავუტოვეთ!**

**ექსპერიმენტი რომ ჩავატაროთ და სასწორის ერთ პინაზე სიკვდილის შიში დავდოთ, ხოლო მეორეზე სიმართლისა, შეიძლება, ამ უკანასკნელმა გადასწონოს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამ სოფელში ურწმუნოების ზეიმია!**

თეორიულად ვიცით, რომ რაც არ უნდა მწარედ მოსასმენი იყოს, სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ, მაგრამ, პრაქტიკულად ამას ვერ ვახერხებთ — ისევ და ისევ ჩვენი გულნამცეცობისა და სულიერი სიღატაკის გამო.

არაერთხელ მიცდია, პირუთვნელად გამომეთქვა საკუთარი აზრი ამა თუ იმ პიროვნებისა თუ მოვლენის მიმართ, მაგრამ კისერიც ბევრჯერ წამიტეხია — ზოგი ინტრიგნობას გაბრალებს, ზოგი მეცამეტე გოჭის იარლიყს მოგაწებებს, ზოგიც მტრად გადაგეკიდება. ამ ყველაფერს ადრე ძალიან განვიცდიდი. მითუმეტეს, როცა გარშემომყოფთა მხრიდან უნდობლობასა და ყალბ ურთიერთობას ვგრძნობდი ხოლმე, მაგრამ მერე და მერე ეს ბარიერი გადავლახე. დღევანდელი გადასახედიდან ვრწმუნდები, რომ სწორად ვიქცეოდი.

ერთ უბრალო მაგალითს მოვიყვან: საქართველოში ასე საგრძნობლად მომრავლებულ წიგნების პრეზენტაციებზე ავტორები ხშირად მომმართავენ გამოვთქვა საკუთარი აზრი მათ შემოქმედებაზე. არცთუ იშვიათად ვღალატობ „ტრადიციას" და ვამბობ იმას, რასაც ვფიქრობ მათ შემოქმედებაზე — არც კრიტიკას ვაკლებ, რაც ავტორებზე მეტად დამსწრე საზოგადოებას არ სიამოვნებს. ერთმა სტუდენტობისდროინდელმა მეგობარმა პოეტმა ხუმრობით „პოეტების რისხვა" შემარქვა — ძალიან არ მსიამოვნებს ასეთი იარლიყი, მაგრამ არც ვაპროტესტებ. მირჩევნია ვიღაცას არ მოვწონდე, ვიდრე თეთრი შავად გავასაღო და მერე საკუთარი თავი შემძულდეს ასეთი მლიქვნელობის გამო.

დღეს არავის უყვარს სიმართლის მთქმელნი და მოდარაჯენი. ამა სოფელში დიდი გასაქანი ფარისევლებს, ანუ ორპირებსა და მლიქვნელებს ეძლევა, რომლებიც თავს შესანიშნავად გრძნობენ, თუმცა, ყველაფერი ხომ აქ არ მთავრდება?!

აქვე ერთ გარემოებაზე უნდ გავამახვილო ყურადღება: **კარგია სიმართლის თქმა, მაგრამ გააჩნია როგორ იტყვი: ნიშნის მოგებით თუ ტკივილითა და სიყვარულით — ურწმუნო მოყვასს კიდევ უფრო დაბრკოლებ თუ დააფიქრებ.**

მე პირადად ყოველთვის არ გამომდის ისე ვთქვა სიმართლე, რომ მავანისა და მავანის გაღიზიანება არ გამოვიწვიო. ყოფილა შემთხვევა, ჩემი არაორდინარული პოზიციის გამო თითქმის გამოუვალ მდგომარეობაში აღმოვჩენილვარ (შეიძლება, ვიღაცა თანამიგრძნობდა კიდეც, მაგრამ ხმამაღლა ამის თქმას ვერ ახერხებდა), რაც ჩემში გაღიზიანებას იწვევდა ხოლმე, მაგრამ მადლობა უფალს, ეს ბარიერი უკვე გადავლახე — ვამბობ იმას, რასაც ვფიქრობ — არ მაინტერესებს, ვის მოეწონება და ვის არა!

**P.S. რაც შეეხება სიკვდილისა და სიმართლის შიშს, ეს მხოლოდ ურწმუნოთა ხვედრია, თორემ, მორწმუნეს არც სიკვდილის და არც სიმართლის არ ეშინია — მას მხოლოდ ერთადერთი შიში აქვს: როგორ წარსდგება უფლის სამსჯავროზე და როგორ დაიცავს თავს ამქვეყნიური ცდუნებებისგან.**

**P.S. P.S. დღეს ვინმეს რომ უთხრა ფარისეველი ხარო, შეიძლება თავი გაგიტეხოს, მაგრამ ასეა და რა ვქნა!**

**ზაურ ნაჭყებია**

# სადაც იყოს ბედი შენი...

## ლონდონში გარდაიცვალა 109 წლის ქართველი ემიგრანტი, გორელი ალექსანდრე ბესტავაშვილი

**ამ მეორე საუკუნეში გადამდგარი ალექსანდრე ბესტავაშვილის ლონდონში გარდაცვალების ამბავი რედაქციას განსვენებულის დისშვილმა, ცნობილმა მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვაჟა კვალიაშვილმა შეატყობინა. ბატონმა ვაჟამ თან მოიტანა ის ქართული ჟურნალ-გაზეთები, სადაც სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულია ალექსანდრე ბესტავაშვილის წერილები და ინტერვიუები.**

**ჩვენ სწორედ ამ წერილებისა და ინტერვიუების მიხედვით შევეცადეთ ხანმოკლე წუთისოფელში ალექსანდრე ბესტავაშვილის, წლების მანძილზე ლონდონში ქართული სათვისტომოს თავკაცის, კარგა გვარიანად გრძელი ცხოვრების გზის აღდგენა... ისე, ალბათ, ოდესმე ვინმე წიგნსაც დაწერს ან ვინმემ იქნება რომანის თემადაც გამოიყენოს ამ ნამდვილად არაჩვეულებრივი ქართველის ცხოვრება, რომელიც მთელ მღელვარე მეოცე საუკუნეს იტევს და ოცდამეერთე საუკუნესაც აგერ ჩვიდმეტი წელიწადი ჩამოაჭრა.**

**დაიბადა 1907 წელს სოფელ ატენში. რვა წლამდე იქ იზრდებოდა და-ძმასთან ერთად. მერე ოჯახი გორში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც იგი სასულიერო სკოლაში მიაშურეს, შემდეგ სწავლა განაგრძო შრომის სკოლაში. 18 წლისა ჩამოდის თბილისში და ახლად გახსნილ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საინჟინრო ფაკულტეტზე ხიდებისა და გზების სპეციალობაზე ირიცხება.**

ალექსანდრე ბესტავაშვილი მეუღლესთან თორა ედუარდსთან ერთად.

— იმხანად დიდი იყო ბოლშევიკების შიში, — იგონებს ბატონი ალექსანდრე. — და ხალხში ასეთი აზრი ტრიალებდა — ვისაც უნდა საქმის გაკეთება, უცხოეთში უნდა წავიდესო. მეც შემიპყრო სურვილმა, მენახა ევროპის კლასიკური ქვეყნები. მინდოდა, დავკვირვებოდი იქაურ წყობასა და ცხოვრების ნირს, რის შემდეგაც ვაპირებდი კვლავ საქართველოში დაბრუნებას, რათა ძლიერთათვის ამა სოფლისა შემეხსენებინა, რომ ახალი სახელმწიფოს აშენებას მარტო დაუნდობლობა, გადასახლებები და დახვრეტები კი არა, ლმობიერება, ახსნა-დარიგება და მოთმინებაც სჭირდებოდა.

ჩემს ორ უფროს მეგობართან მიტო უხურგუნაშვილთან, ვანო ზაზუნაშვილთან და ჩემს ბიძაშვილ ალექსანდრე მაისურაძესთან ერთად 1929 წლის 7 ნოემბერს დავტოვე საქართველო. ახალციხის გავლით ოსმალეთში გადავედით. ფეხით მივიწევდით წინ, გვინდოდა კონსტანტინოპოლამდე ჩაღწევა და ევროპაში წასასვლელი ვიზების მოპოვება. გზად ქალაქ ტოკატში დავბინავდით. იქიდან გავგზავნეთ თხოვნა, რომ ჩვენთვის უცხოეთში გამგზავრების ნება მოეცათ და ველოდით ლამის ერთი წელი ტოკატში სასურველ ჟამს. რა დამავიწყებს ტოკატის ჟანდარმერიის უფროსის მამედ ბეის სიკეთეს? თურქული ენა არ ვიცოდით, ამიტომ უნივერსიტეტში ნასწავლი ცოტაოდენი ფრანგულით მოვემზადეთ მასთან შესახვედრად. ჩვენს გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა მან წმინდა ქართულით მოგვმართა: მეც ქართველი ვარ, ჩემი წინაპრები სამასი წლის წინათ ჩამოასახლეს აქ ოსმალებმა, მაგრამ დღემდე არ დაგვიკარგავს ქართული ენა და ადათ-წესებიო. ნენემ იცოდა, რომ დღეს თქვენ მოხვიდოდით ჩემთან და რადგან აღდგომაა ამ კვირას, ეს ძღვენი გამოგიგზავნათ, მაგათ დედები აქ არა ჰყავთ და ვინ გაუმზადებთ სააღდგომო სუფრასო? შემოატანინა ქაღალდში გახვეული ხორაგი. გავხსენით და შიგ შემწვარი ინდაური აღმოჩნდა.

ისე, ხომ იცი, დღემდე მომყვება სინდისის ქენჯნა, რა იქნებოდა იმ ღვთისნიერი კაცის მისამართი დამეწერა და მერე საფრანგეთიდან მაინც მიმეწერა, მაგრამ ახალგაზრდა ვიყავი, ვერ გამოვიჩინე სათანადო ყურადღება და კულტურა.

შემდეგ იყო მარსელი... პარიზგში წასვლა მინდოდა, მაგრამ ერთმა კეთილმა კაცმა მითხრა — ფული შენ არა გაქვს, პარიზი გაგაფუჭებს, დარჩი აქ და ხელობას გასწავლიო. წყალგაყვანილობის სპეციალისტი გავხდი. მერე მაინც ავიხდინე ოცნება — პარიზში გადავსახლდი. შვიდი წელი ვიცხოვრე იქ.

მე და ჩემმა მეგობრებმა გადავწყვიტეთ, ბელგიაში გადავსულიყავით. მეორე მსოფლიო ომის პერიოდია. გერმანელებმა რომ შეუტიეს ბელგიას, ხალხი სანაპიროს მიაწყდა — ქვეყნიდან გაქცევა უნდოდათ. ერთ ინგლისელ ოფიცერს ქეჩოში ვწვდი და ფრანგულად ვუთხარი, ქართველი ვარ, აქედან გამიყვანე, თორემ სულს ამოგხდი-მეთქი.

თურმე არ ესმოდა ფრანგული, მაგრამ ჩემმა შეტევამ გაჭრა და ინგლისელების გემზე ამიყვანა. მეგონა, პარიზში ვბრუნდებოდი, როცა ინგლისის ნაპირს მივადექით, გული გადამიქანდა, აქ რა მინდა-მეთქი? ენა არ ვიცოდი, მაგრამ ომის დროს ძალიან სჭირდებოდათ წყლის სპეციალისტი. ასე გადამარჩინა ჩემმა ხელობამ. ლონდონის გრინვიჩის მთელი წყალგაყვანილობა ჩემი დაგეგმილი და გაკეთებულია. მინდა, ქართველ გოგო-ბიჭებს ვუთხრა: კარგად ისწავლეთ, მაგრამ არ დაიზაროთ და თითო ხელობას მაინც დაეუფლეთ, რადგან არ იცით, ცხოვრება საით წაგიყვანთ...

ჩემი სოციოლოგიის ფრანგული დიპლომი ლონდონში არ გამომდგომია, — განაგრძობს კორესპონდენტთან საუბარს ბატონი ალექსანდრე. — მკითხეს — რამე ხელობა თუ გეხერხებაო? მეც გაუბედავად მივუგე, წყლისა და გაზგაყვანილობის ხელობაც ვიცი-მეთქი. შეამოწმეს ჩემი პრაქტიკული ცოდნა და პირდაპირ განმაწესეს გრინვიჩში, ლონდონის აღმოსავლეთ მხარეში. მრავალი წელი ვემსახურე გრინვიჩს, წყალი და გაზი ბევრ საცხოვრებელ სახლსა თუ დაწესებულებაში შევიყვანეთ. მყავდა ჩემი პროფესიის ხელოსნების რაზმი, რომელსაც სამუშაო არ ელეოდა, დამკვეთი მუდამ ბლომად გვყავდა.

დღეში 14-15 საათი გარეთ ვიყავი გასული, შვილებს ძირითადად დედასთან უხდებოდათ ურთიერთობა. ამიტომ ჩემი გაუნელებელი ტკივილია, რომ ქართული ვერ შევასწავლე. სკოლა, უნივერსიტეტი, სამსახური, გარემო — ყველგან ინგლისური ჰქონდათ... თანაც მაშინ ვინ წარმოიდგენდა საბჭოთა კავშირის დანგრევას? რომ ქართული ენის ცოდნა ასე საჭირო გახდებოდა? ბოლო წლებში საქართველოდან უცხოეთში საცხოვრებლად წამოსულ ხალხს ვთხოვ, შთაუნერგოს შვილებს ქართული ენის სიყვარული და მისი ცოდნის აუცილებლობა. ახლა სხვა დროა, მათ თავისუფლად შეუძლიათ ჩასვლა დედასამშობლოში და განა დედაშვილს ერთმანეთთან საურთიერთოდ თარჯიმანი უნდა დასჭირდეს? თანაც პატარის გონება ისეთი ცინცხალია, ორი და სამი ენის სწავლა ნამდვილად არ გაუჭირდება.

რაც შეეხება თავის ოჯახურ ცხოვრებას, ბატონი ალექსანდრე ასე იგონებს:

— 22 წლისამ დავტოვე საქართველო. ახლა ასმეათეში გადავდექი... 88 წელია, საზღვარგარეთ ვცხოვრობ...

ერთხელ ნაცნობმა მითხრა, ქოვენთ გარდენი იხსნება და წავიდეთო. გამოვეწყვე და წავედი. გოგონებით სავსე იყო იქაურობა. ერთი პატარა, მაგრამ კოხტა ტანის გოგო თორა ედუარდსი შევნიშნე. ვიფიქრე, მოდი, გამოვიცეკვებ-მეთქი... მერე რამდენჯერმე შევხვდით ერთმანეთს და ვეღარ მოვცილდი. ლონდონის ბერძნების ეკლესიაში შევუღლდით. მაქსიმე ქიქოძე გვყავდა მეჯვარედ. მას შემდეგ 70 წელი ერთად ვიყავით. სამი შვილი გვყავს: მერი, გოგი და კრისტი, გოგის ხელოვნება უყვარს. ჰყავს ინგლისური ეროვნული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი. მერი და კრისტი პედაგოგები არიან.

ადამიანებს რომ ვაკვირდები, ფულის მიხედვით ირჩევენ ერთმანეთს და ამიტომ ენგრევათ ოჯახი. ჩვენ სიყვარული ავირჩიეთ და ამიტომ მოვედით აქამდე.

შინ დიდი რუდუნებით ვინახავთ ქართულ დოლს. ლონდონში გამართულ სუხიშვილების ყველა კონცერტზე ვართ ნამყოფი. ჰოდა, ერთხელ ფრიდონ სულაბერიძე შინ გვესტუმრა და უფროსი ილიკო სუხიშვილის ხელმოწერილი დოლი გვაჩუქა.

საქართველოში პირველად 1963 წელს ჩავედი. მამა უკვე გარდაცვლილი იყო, მამა, რომელთანაც კაცური ლაპარაკი არ მღირსებია... ცხონებულმა ხშირად იცოდა თქმა, სადაც იყოს ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენიო. თითქოს ჩემს მომავალს წინასწარმეტყველებდა... შემეშინდა, დედაც რომ უნახავი მომიკვდეს, როგორ უნდა ვიცოცხლო-მეთქი. ამან ისეთი ძალა შემძინა, შემდეგ არავითარ წინააღმდეგობას აღარ შევეპუე. სამი თვე ვებრძოლე საელჩოს, ბოლოს ათდღიანი ვიზა მომცეს, ოღონდ მითხრეს, გორში სასტუმრო არ არის და თბილისში უნდა წახვიდეო. ცოლიც თან გამომყვა — შენი იქ დატოვება თუ დააპირეს, მე ინგლისის მოქალაქე ვარ და ჩემთან ერთად ასე იოლად ხელს ვერ მოგკიდებენო... მოსკოვიდან მატარებლით ვიმგზავრეთ, გორი რომ გავიარეთ, თვალები ცრემლით ამევსო. იცი, რა სიმწარე იყო, გორში რომ ვიყავი და მატარებლიდან ჩამოსვლის უფლება არა მქონდა?

ნათესავები თბილისის სადგურზე დამხვდნენ. დედამ ხელი გამოიშვირა 34 წლის უნახავი შვილისკენ და, შენ დამღუპეო, მითხრა. გული ჩამწყდა. მერე ჩემი ძმა გოგია რომ მოვიკითხე, თვალი ვერ გამისწორეს: შვიდი წელიწადი თურმე გარდაცვლილ ძმას ვწერდი წერილებს.

მას შემდეგ რვაჯერ ვესტუმრე საქართველოს... საქართველო ახლა დამოუკიდებელია. სიკვდილი რაღაა ამის შემდეგ, ძალიან მეიოლება მასთან შეხვედრა, ასე მგონია, ხელი ხელს გვიკიდია... ხანდახან ღამე მეღვიძება და ფიქრებს შორს მივყავარ. გულში სულ ქართულად ვლაპარაკობ, სულ ვეკითხები ჩემს თავს — ეს რატომ ვქენი-მეთქი, ერთხელ მწარე სინანულმა შემიპყრო — როგორ დავტოვე დედა მარტო-მეთქი? მაგრამ როცა ცხოვრებას თვალს გადავავლებ, მეამაყება, რომ პატიოსნად ვიცხოვრე, ერთი რამ კი მწყინს — ჩემმა შვილებმა ქართული არ იციან, პირწავარდნილი ინგლისელები არიან... 22 წლისამ დავტოვე დედა მარტო-მეთქი?

ალექსანდრე ბესტავაშვილი თავის ცოლ-შვილთან ერთად.

**ალექსანდრე ბესტავაშვილს განგებამ უაღრესად ტევადი და მღელვარე ბედის სცენარი არგუნა. მისი არქივი უამრავ ცნობასა და ჩანაწერს ინახავს პარიზისა და ლონდონის ქართულ ემიგრაციაზე. მის ჩანაწერებში მრავალ ისეთ ფაქტს წააწყდებით, რომლებიც უცნობია ჩვენი საზოგადოებრიობისთვის. მათი გამომზეურება უცხოეთში გაფანტული რამდენი ქართველის სახელს გააცოცხლებს?! ბევრ მათგანს ოჯახი არ შეუქმნია, ისე აღესრულა და ამდენად მომგონებელიც არ დარჩენია. ისე რომ შესაძლოა, მხოლოდ ამ ჩანაწერებშია შემორჩენილი იმათი კვალი!..**

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II
და ალექსანდრე ბესტავაშვილი.

ვე საქართველო და ახლა ასმეათეში გადავდექი... 88 წელია, საზღვარგარეთ ვცხოვრობ.

და უნდა გითხრათ, რომ მთელი ამ ხნის მანძილზე ერთი დღეც არ მიცხოვრია, რომ საქართველოზე არ მეფიქრა. საბედნიეროდ, ახლა სხვა დროში გვიხდება ცხოვრება, მაგრამ იყო დრო, როცა საქართველოდან ჩამოსულ ქართველთან შეხვედრა ნამდვილი სასწაული იყო...

არასოდეს დამავიწყდება ის სიხარული, რაც 1958 წელს როიალ ალბერტ ჰოლში სუხიშვილების ანსამბლის და მოგვიანებით 1980 წელს რაუნდ ჰაუზში რუსთაველის თეატრის გამოსვლამ (რობერტ სტურუას „რიჩარდ მესამე“) განმაცდევინა. ეს იმ ჩაკეტილ დროსა და სივრცეში ჩემთვის ახალი სუნთქვის გახსნას უდრიდა. მე ვიყავი ეროვნული მეობით ამაყი და ადგილს ვერ ვპოულობდი სიხარულით. მახსოვს მაშინ აქ თითო-ოროლა ქართველი ვცხოვრობდით და როგორი გამხნევება და სულის მოთქმა იყო ეს ჩვენთვის.

მაგრამ სხვა ერებისგან მაინც ბევრი გვაქვს სასწავლი ქართველებს. ბრიტანელები სათუთად ეკიდებიან თავიანთ გარდასულ ამბებს, კავშირი აქვთ ერთმანეთში, არ კარგავენ ძველს. ამ მხრივ კულტურა გვაკლია. ჩვენ, ინგლისში მცხოვრებმა ქართველებმა ისიც კი ვერ მოვახერხეთ, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მიწის ნაკვეთი გვეყიდა ლონდონში, ქართული სასაფლაო რომ გვქონოდა. ახლა ყველა სხვადასხვა სასაფლაოზეა გაბნეული და ჭირს იმათი მოძებნა. არადა, რა ძვირფასი ქართველობა ცხოვრობდა ლონდონში – დავით ჭავჭავაძე, სალომე ანდრონიკაშვილი, თამარ ამირეჯიბი, რაჟდენ რუსიშვილი, გიორგი ფაშალიშვილი, ნინო ჯაყელი, ანდრო გოგოლაშვილი, მოდრეკილიძე, ჩაფიძე და მრავალი სხვა. ლონდონში ცხოვრობს ქართველი პროფესორი თამარ დრაგაძე, რომელიც მუდამ ყურადღებას იჩენს ჩემს და ყველა ქართველის მიმართ. აი, იმან იცის ბევრი რამ ამ გაფანტულ ხალხზე და იმათ საფლავებზეც...

უკვე დამოუკიდებელ საქართველოში ჩემი ბოლო სტუმრობისას დავინახე, რომ ბევრ საკითხს, განსაკუთრებით სოციალურ კეთილდღეობას გამუდმებული ზრუნვა და სრულყოფა სჭირდება. მე დავინახე ქართველების ძალა, გონიერება და უდიდესი სურვილი, რომ ააშენონ ახალი, სამართლიანი და ღონიერი სახელმწიფო. საქართველოს ბევრი მძიმე ხანა გადაუტანია და მაინც მოვედით აქამდე. ეს მიჩენს იმედს, რომ ჩვენ საბოლოოდ გადავრჩით. თანამედროვე მსოფლიოს ჯერ კიდევ არ ესმის, რა დიდი კულტურის ქვეყანაა საქართველო. როცა კარგად ჩაუკვირდებიან ჩვენს ანბანს, მწერლობას და ხელოვნების სხვა დარგების საიდუმლოს, მერე მეტი კრძალვა და პატივისცემა გაჩნდება ჩვენი ქვეყნის მიმართ. ჩვენ ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ, რაც შეიძლება ბევრ უცხოელს უნდა გავაცნოთ ამ მხრივ თავი, კულტურების ასეთ დაახლოებას ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლია... ევროპაში უვიზო მიმოსვლა ამის დიდ შესაძლებლობას მოგვცემს. ეს ძალიან კარგი საქმე გაკეთდა.

მე იმაზეც ბევრს ვფიქრობ, ეს ამოდენა ქართველობა რომ დაიძრა უცხოეთისკენ, და ახლა კიდევ უფრო მეტი დაიძვრება,

ალექსანდრე ბესტავაშვილი საქართველოში
ყოფნისას თავის ახალშეძენილ მეგობრებთან.
მარცხნიდან – ჯანსუღ ჩარქვიანი,
შოთა ყავლაშვილი, არჩილ ციცქიშვილი.

თუმცა, ვერ გავამტყუნებ... ყველას სურს უკეთესად ააწყოს თავისი ცხოვრება, მე ვიცნობ ქართველის ბუნებას, არ დაიჯეროთ, რომ ისინი სამუდამოდ დატოვებენ ქვეყანას. აი ნახავთ, ქართველები გავლენ უცხოეთის ბევრ ქვეყანაში, კარგად მიმოიხედავენ, ასწონ-დასწონიან და მიხვდებიან, რომ საქართველოზე უკეთესი ქვეყანა ძნელად მოიძებნება დედამიწის ზურგზე, ჩვენ ევროპელებზე წინწასწრებული ხალხი ვართ ჩვენი შეგნებითა და მდიდარი სულიერებით. ევროპელს თუ მილიონები არ უდევს ბანკში, თავი უბედურად მიაჩნია. ჩვენ კი, ქართველებმა, ვიცით ცხოვრებით ტკბობის საიდუმლო. შეიძლება ცოტა გვქონდეს, მაგრამ შეგვიძლია ისე განაწილება, ბევრ მილიონერსაც არ ძალუძს, ჩვენებური აზრი მისცეს თავის ცხოვრებას. ჩვენ მარტო ჩვენი თავისთვის კი არა ვართ, სხვისი გასაჭირიც შეგვიძლია გულთან მივიტანოთ და დავეხმაროთ ცხოვრების უკეთ მოწყობაში. ამაში არის ჩვენი სიძლიერე და განსაკუთრებულობა. ნახეთ, ეს უცხოეთში წამოსული ხალხი როგორ ეხმარება საქართველოში დარჩენილ ახლობლებს. ესენი ასულდგმულებენ აქედან. მატერიალური გაჭირვება სამუდამო ვერ იქნება, ამას თავს დავაღწევთ. მთავარია, რომ ჩვენ ბუნებრივად მოგვდგამს უდიდესი შინაგანი კულტურა, რომელსაც ვერანაირად ვერ შეიძენ და ეს მიგვიყვანს კიდეც საბოლოო კეთილდღეობამდე. მე ამით ამაყიცა ვარ და დიდი იმედიც მაქვს, რომ საქართველო არა მარტო ფიზიკურად გადარჩება, არამედ ერთ მშვენიერ დღეს ყველას დაანახვებს, რა შესაძლებლობები იმალება ჩვენში. მე, ალბათ, ამას ვეღარ მოვესწრები, მაგრამ დაიხსომეთ ჩემი სიტყვები: საქართველო დიდი მომავლის ქვეყანაა...

თავს მხნედ კი ვგრძნობ, მაგრამ მაინც დასასრულისკენ მივდივარ, ხუმრობა ხომ არ არის, ასმეათე წელში გადავდექი? როგორც ხეები ზამთრისპირს ფოთლებს კარგავენ, ჩვენც ფოთლები ვართ ამ ცხოვრებაში. წასვლის წინ ყველაფერი უნდა მოაწესრიგო. ხვალ რომ აღარ ვიყო, არ მინდა უაზროდ გაიფანტოს და განადგურდეს ჩემეული დოკუმენტური მასალა თუ ჩემეული დღიურები...

მე ბედნიერი კი არა, უბედნიერესი კაცი ვარ, მეცხრე ცაზე ვარ ამაღლებული სიხარულით, საქართველო დამოუკიდებელია! ამას მომასწრო განგებამ. სიკვდილი რაღაა ამის შემდეგ, ძალიან მეიოლება იმასთან შეხვედრა, მგონია, ხელი ხელს გვიკიდია. ამის შემდეგ წასვლა აღარ არის ძნელი. საქართველო ფეხზე დგას და თავისი მომავლის გზას ადგას, თავადვე წალდავს..

ცას ხომ ვერ გამოვეკიდები და ამიტომ ყველა ქართველს უნდა მივმართო: რითიც და როგორც შეგიძლიათ, სადაც არ უნდა იყოთ, ისე ემსახურეთ სამშობლოს. გთხოვთ თან არ გამატანოთ საქართველოს ჯავრი. ღირსეული და სანაქებო ქვეყანა ააშენეთ! გიყვარდეთ საქართველო! მოუარეთ საქართველოს.

**უთუოდ** მადლობის ღირსი არიან ჟურნალისტები ნინო ბეთანელი და გიორგი ლალიაშვილი, რომლებიც სხვადასხვა დროს ხვდებოდნენ ამ საქართველოსავით ხნიერ, ბრძენ, მიმხცოვნებულ ქართველს და საფლავში არ გაატანეს ზემოთ მოყვანილი არც ერთი ღირებული აზრი.

ამჟამად ალექსანდრე ბესტავაშვილის შემურვილი ცხედარი, რომელსაც ამ რამდენიმე ხნის წინათ 100 წლის ასაკში გარდაცვლილი მეუღლის გვერდით დაკრძალავენ, დასვენებული ყოფილა ლონდონის ქართულ ეკლესიაში, ანუ, როგორც იქაურები ეძახიან, დიდი ბრიტანეთის პატარა საქართველოში.

ეს არც ნეკროლოგია და არც ეპიტაფია, ეს უფრო თავისებური ავტოპორტრეტია ამ თითქმის 90 წლის წინათ თავისი ქვეყნიდან გადახვეწილი, მაგრამ მაინც ქართველად დარჩენილი კაცისა, რომელიც როგორც თავის სხეულს, ერთ წამითაც არ განშორებია საქართველოს.

პუბლიკაცია მოამზადა
**გურამ გოგიაშვილმა**

# .... კიდევ ერთი წიგნი ლევან გოთუაზე




**ქართველმა მკითხველმა კიდევ ერთი საუკეთესო წიგნი მიიღო.** მხედველობაში მაქვს ცნობილი გეოგრაფის, სპელეოლოგის, პრომეთეს მღვიმის ერთ-ერთი აღმომჩენის, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის, წყალტუბოს საპატიო მოქალაქის **ჯუმბერ ჯიშკარიანის** წიგნი **„...შურსა და ცილზე ამაღლებული“**, რომელიც ეძღვნება გამოჩენილი ქართველი მწერლის, დრამატურგისა და მთამსვლელის ლევან გოთუას ცხოვრებასა და შემოქმედებას.

ლევან გოთუამ ცხოვრების საუკეთესო წლებიდან თითქმის მეოთხედი საუკუნე შორეულ ჩრდილოეთში, ე.წ. „მავთულსიქითა“ სამყაროში გაატარა. ტანჯვამ, წამებამ, დამცირებამ სულიერად ვერ გატეხა ჭეშმარიტი მამულიშვილი. **„...ვერ გამიგია, სამშობლო იმიტომ მიყვარს, რომ ასე შორსა ვარ, თუ იმიტომ ვარ ასე შორს, რომ ასე ძლიერ მიყვარს სამშობლო“...** – იწერებოდა მწერალი იმ ჯურღმულებიდან.

ლევან გოთუა როცა პატიმრობიდან გაათავისუფლეს, მაგრამ საქართველოში ცხოვრება აუკრძალეს, მოხდა ის „უცნაური სასწაული“, რაც არასდროს არსად მომხდარა – ასეთი პირობით პატიმარმა თავისუფლება არ ინდომა და საპატიმროში დარჩენა ამჯობინა... თურმე კანონი არ არსებობდა, ადმინისტრაციას რომ შეძლებოდა გათავისუფლებული პატიმრის ციხიდან ძალით გამოგდება. მწერალმა მხოლოდ მას შემდეგ დატოვა იქაურობა, როცა მიიღო საქართველოში ცხოვრების უფლება.

არადა, როგორც მწერალი ელგუჯა მაღრაძე წერს: **„ლევან გოთუა გახლდათ ძველი საქართველოს დაუცხრომელი ჭირისუფალი, მოზარე და დამტირებელი, მისი გმირების ვარამითა და სევდით გულდასეტყვილი, გულდასერილი, იმ ვარამისა და სევდის სამზეოზე გამომტანი“...**

მისი საფიქრალი კი ყველგან და ყოველთვის სამშობლო იყო. ამ ფიქრითა და გარჯით შეიქმნა მრავალწიგნიანი რომანი „გმირთა ვარამი“, ბრწყინვალე ნოველები „უგზო ქარავანი“, „კრწანისის სევდა“, „ყინწვისის ანგელოზი“, ჰეროიკული დრამები „მეფე ერეკლე“, „დავით აღმაშენებელი“ და სხვა.

მე კარგად, ძალიან კარგად მახსოვს, რა დიდი პატრიოტული ანშლაგებით იმართებოდა ქართულ თეატრებში სპექტაკლები „მეფე ერეკლე“ და „დავით აღმაშენებელი“. გულწრფელ ემოციებსა და განცდებს ერეკლე მეფისა და დავით აღმაშენებლის სახელებთან ერთად აძლიერებდა და სისხლხორცეულად ეხამებოდა იმის აღნიშვნაც, რომ პიესების ავტორი იყო ლევან გოთუა.

შეუძლებელია დავიწყება ვასო გოძიაშვილის ერეკლე მეფისა, ვერიკო ანჯაფარიძის ანა ბატონიშვილისა, შალვა ღამბაშიძის პაატასი, სერგო ზაქარიაძის ბესიკისა, განსაკუთრებით გიორგი შავგულიძის საიათნოვასი და ალექსანდრე ომიაძის ბერუჩასი.

საბჭოთა გულაგებში ნატანჯმა და ნაწამებმა მწერალმა მოახდინა ის საოცრება, რომ ქართულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში სათავე დაუდო ჭეშმარიტი პატრიოტიზმის სულის არნახულ განახლებას და გაძლიერებას.

დიდი ნებისყოფით, შეუპოვრობით და სამშობლოზე ფიქრით გადაურჩა მწერალი ჯოჯოხეთს და შეუძლებელიც შეძლო – ფაქტობრივად ქართველი მწერალი კლასიკოსად იქცა და მშობლიური ხალხის წარმოუდგენლად დიდი სიყვარული მოიმკა.

ცხადია, ცალკე საუბრის თემაა ლევან გოთუა როგორც მთამსვლელი, რომელმაც არაერთი მწვერვალი დაიპყრო. მნიშვნელოვანია აგრეთვე მისი ახლო ურთიერთობა ლეგენდარულ ალიოშა და ალექსანდრა ჯაფარიძეებთან და ჩვენს დიდ მეგობართან, ცნობილ ჟურნალისტთან, ბატონ ივანე ჯაფარიძესთან.

ბატონმა ჯუმბერ ჯიშკარიანმა ამ წიგნის გამოცემისთვის ტიტანური შრომა გასწია და თავი მოუყარა მწერლის შესახებ გამოქვეყნებულ საინტერესო და უაღრესად მნიშვნელოვან მასალებს, რისი გაკეთება რამდენიმე წლის შემდეგ, ალბათ, შეუძლებელიც კი იქნებოდა.

წიგნში დიდი ინტერესით იკითხება ჯუმბერ ჯიშკარიანის, ელგუჯა მაღრაძის, სარგის ცაიშვილის, ვახტანგ ტაბლიაშვილის, დოდო ჭიჭინაძის, გურამ თიკანაძის, დოდონა კიზირიას, ვახტანგ ბერიძის, ივანე და სიმონ ჯაფარიძეების და სხვათა საინტერესო მოგონებები.

ჯუმბერ ჯიშკარიანმა თავისი ნაშრომით „...შურსა და ცილზე ამაღლებული“ კიდევ ერთხელ ფასდაუდებული წვლილი შეიტანა ქართული მწერლობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის გამდიდრების საქმეში.

**გენია თხილავა,**
**საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, ჟურნალისტი, ქუთაისის საპატიო მოქალაქე**

# მთავრობისა და კერძო კომპანიების სატენდერო ჩიხი

**სახელმწიფო ტენდერებში გამარჯვებულ კომპანიებს მუდმივად პრობლემები აქვთ ხან თავად სახელმწიფოსთან, ხანაც პროექტებში დასაქმებულ ადამიანებთან. ყველაფრის მიზეზი არარეალურად დაბალი ფასია, რომლის მეშვეობითაც კომპანიები ტენდერებს კი იგებენ, მაგრამ შემდეგ ყველა ვალდებულების გასასტუმრებლად თანხა არ ჰყოფნით. მოკლედ, ამ რთული წრიდან გამოსავალი ძნელად მოსაძებნია.** საქმეში უკვე მთავრობაც ჩაერთო. პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ტენდერში გამარჯვებული კომპანიების დაქირავებული თანამშრომლების უფლებებზე გაამახვილა ყურადღება. მან ხელფასების დაგვიანების საკითხზე ისაუბრა და განაცხადა, რომ არის შემთხვევები, როდესაც კომპანიები იგებენ ტენდერებს, სახელმწიფო მათ თანხას ურიცხავს, მაგრამ დასაქმებულ თანამშრომლებს ხელფასს რამდენიმე თვით უგვიანებენ. მან ასეთი ფაქტების აღკვეთისკენ სამართალდამცავებს მოუწოდა.

**„ბოლო პერიოდში რამდენიმე პრეცედენტს ჰქონდა ადგილი, განსაკუთრებით, მუნიციპალური ტენდერების შემთხვევაში. როდესაც სახელმწიფო ფულით კომპანიები ახორციელებენ პროექტს და თანამშრომლებს ხელფასი უგვიანდებათ, ეს არის აბსოლუტურად მიუღებელი პრაქტიკა“,** — აღნიშნა კვირიკაშვილმა და რეგიონული ინფრასტრუქტურის მინისტრს ზურაბ ალავიძეს ყველა მუნიციპალიტეტში კონტროლის ჩატარება დაავალა.

**„სახელმწიფო ფულით კომპანია ახორციელებდეს პროექტს და სამი თვის განმავლობაში ხელფასს არ უხდიდეს თანამშრომლებს, ეს არის უპასუხისმგებლობა. თუ სადმე ამგვარი ფაქტი კიდევ გამოვლინდება, აუცილებლად მკაცრი რეაგირება მოჰყვება. მინდა, სამართალდაცავებსაც ვთხოვო, საკითხს მიუდგნენ გულდასმით და დარღვევების აღმოჩენის შემდეგ, მიიღონ შესაბამისი ზომები. ჩვენმა მოქალაქეებმა, რომლებიც სახელმწიფო დაფინანსებით განხორციელებულ პროექტებში მონაწილეობენ, არ უნდა იგრძნონ თავი დაჩაგრულად და კუთვნილი ხელფასი დროულად უნდა მიიღონ. ეს არის ელემენტარული, რაც მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებს, გამგებლებს ევალებათ“,** — განაცხადა კვირიკაშვილმა.

ხელფასების დაგვიანების თაობაზე ინფორმაცია აქვს ინფრასტრუქტურის მინისტრს **ზურაბ ალავიძესაც,** რომელმაც კომენტარი მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ გააკეთა. მისი თქმით, თითოეულ დარღვევას, რომელიც ტენდერის მონაწილეებს ეხებათ, მკაცრი რეაგირება მოჰყვება. **„სამწუხაროდ, ბევრი პრობლემური სამშენებლო კომპანიაა საქართველოში, რომლებსაც ფინანსურად უჭირთ. ისინი ტენდერიდან ტენდერამდე მუშაობენ. ამ მიმართულებით ჩვენც ვმუშაობთ როგორც სამშენებლო კომპანიებთან, ასევე საბანკო სექტორთან. რაც შეეხება სახელფასო დავალიანებებს, ამ საკითხს ნამდვილად არ ვუყურებთ როგორც კონტრაქტორისა და დასაქმებულის ურთიერთობას. ფონდები და სახსრები სახელმწიფოს მიერაა გამოყოფილი და შესაბამისად, კომპანიებმა, რომლებსაც აყვანილი ჰყავთ მუშახელი, დროულად უნდა გადაუხადონ ხელფასი. მდგომარეობა გაუმჯობესებულია, თუმცა შედეგით არ ვკმაყოფილდებით და როგორც პრემიერმა აღნიშნა, მკაცრი რეაგირება გვექნება თითოეულ ფაქტზე. ჩვენ ხელების ამოგრეხის პრინციპით არ ვმუშაობთ. პარტნიორობა უნდა იყოს ორმხრივი და იმის რესურსიც გვაქვს, რომ შესაბამისი ზომები მივიღოთ და ვითარება კონტროლს დაექვემდებაროს“,** — განაცხადა ალავიძემ.

პრობლემის არსებობას ადასტურებს „ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციის“ აღმასრულებელი დირექტორი **ანა საბახტარაშვილი,** თუმცა, აცხადებს, რომ ასოციაციის წევრ კომპანიებში მსგავსი პრობლემები არ არის. საბახტარაშვილი აცხადებს, რომ სახელმწიფო ტენდერებში მონაწილე კომპანიებში თანამშრომლებისთვის ხელფასების დაგვიანებას რამდენიმე მიზეზი შეიძლება ჰქონდეს. მათ შორისაა ტენდერების დემპინგური ფასებით მოგება და პროექტის ცვლილებები. მთავარი მიზეზი მაინც ტენდერების დაბალი ფასით მოგებაა. როგორც საბახტარაშვილი აცხადებს, კომპანიები ადეკვატურ ფინანსურ გათვლებს არ აკეთებენ და ხშირ შემთხვევაში ტენდერში გამარჯვების გამო სხვა ვალდებულებებს უგულებელყოფენ.

მეორე მიზეზად საბახტარაშვილი პროექტის ცვლილების გამო ობიექტის ჩაბარების გაჭიანურებას ასახელებს, რაც მისი მტკიცებით, ავტომატურად ხდება ხოლმე ხელფასების დაგვიანების მიზეზი.

**„რამდენიმე პროექტზე მქონია ასეთი შემთხვევა, როდესაც იცვლება საპროექტო მონაცემები. შესაბამისად, თანამშრომელი შეიძლება ასეთ დროს გაჩერებული გყავდეს რამდენიმე თვე და ხელფასს ვერ ურიცხავდე“,** — აცხადებს „კომერსანტთან“ საბახტარაშვილი.

მისი განმარტებით, ასოციაცია მთავრობასთან ერთად აღნიშნული პრობლემების მოგვარებზე აქტიურად მუშაობს.

**გეჟა დანელია**

# პატრულ-ინსპექტორები თბილისში:
## აპრილიდან – სიგარეტის გადაგდების გამო ჯარიმა 80 ლარი

**პატრულ-ინსპექტორები დედაქალაქის ქუჩებში სასწორებით ივლიან, ფაქტები სამხრე კამერებით აღინუსხება. ნაგავი აიწონება, შედგება ოქმი და გამოიწერება ჯარიმა.**

**აპრილიდან დედაქალაქში ნაგვის დამყრელთა რიგებში შეშფოთება დაიწყება: თბილისის მერიის თაოსნობით თბილისის ქუჩებში პატრულ-ინსპექტორები ივლიან, რომლებიც პირებს, ვინც სანაგვე ურნას და ქუჩას ერთმანეთისგან ვერ არჩევს, დააჯარიმებენ. „მეტრონომს“„თბილსერვის ჯგუფის“ დირექტორის მოადგილე ლევან გოგოძე თემის შესახებ დეტალურად ესაუბრა.**

**„მეტრონომი“: როდიდან გამოჩნდებიან პატრულ-ინსპექტორები თბილისში და რა იქნება მათი ფუნქცია?**

ლევან გოგოძე: 3 აპრილიდან გამოჩნდებიან ქუჩებში, მუშა პროცესში. ორი კვირის განმავლობაში, რადგან ახალი სამსახურია, ინსპექტორები მოქალაქეებს მხოლოდ გააცნობენ საკუთარ მუშაობის ფორმატს და მითითებებს მისცემენ, რომ აღარ დაანაგვიანონ. ორი კვირის შემდეგ, ნარჩენების მართვის კოდექსის შესაბამისად, სამართალდამრღვევი პირი დაჯარიმდება.

**— რა სახის იქნება ჯარიმა?**

— ეს გაწერილია ნარჩენების მართვის კოდექსში და საყოფაცხოვრებო ნარჩენებზე შემდეგი სახის სანქციები გატარდება:

2 კგ-მდე საყოფაცხოვრებო და სხვა (მუნიციპალური) ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება, პირის დაჯარიმებას 80 ლარით გამოიწვევს;

იგივე ქმედება, ჩადენილი შენობა-ნაგებობიდან, დაჯარიმდება 100 ლარის ოდენობით;

2 კგ-მდე მეტი მსგავსი ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება პირის დაჯარიმებას 150 ლარის ოდენობით გამოიწვევს;

იგივე ქმედება შენობა-ნაგებობიდან — 500 ლარის ოდენობით ჯარიმდება;

ფეკალიებთან დაკავშირებით (შინაური ცხოველების პატრონების საყურადღებოდ. რედ), საჯარიმო სანქცია იქნება 50 ლარი;

ასევე — ნარჩენების მართვის კოდექსში გაწერილია სხვადასხვა მუხლები, მათ შორის, ეს სამშენებლო ნარჩენებსაც ეხება:

სამშენებლო ნარჩენების დაყრისთვის ფიზიკური პირი 500 ლარის ოდენობით დაჯარიმდება, ხოლო იურიდიული პირი — 1500 ლარით;

თუ ნარჩენების დაყრის შესაბამისი ნებართვა არ არსებობს, საჯარიმო სანქცია ითვალისწინებს როგორც სახელმწიფო ტერიტორიაზე ოქმის შედგენას, ასევე — კერძო ტერიტორიაზე.

**— უფრო რომ დავაკონკრეტოთ: სიგარეტის გადაგდება ქუჩაში ჯარიმდება?**

— 2კგ-მდე ნარჩენი ითვალისწინებს სიგარეტის, ქაღალდის, ცელოფნის და სხვა, ნებისმიერი საყოფაცხოვრებო ნივთის გადაგდებას. თუნდაც ის ერთგრამიანი იყოს. მაგალითად, ადამიანმა სახლიდან გამოიტანა ნაგავი ცელოფნით, რომელიც არის ერთ კილოგრამამდე და ურნაში არ ჩააგდო — ამაზე სანქცია 80 ლარია და ასევე, სიგარეტის გადაგდებაზეც — 80 ლარი, რადგან ჯარიმა 2 კგ-მდე ნაგავზე სწორედ 80 ლარია.

**— როგორ დაადგენენ ინსპექტორები ნაგვის წონას?**

— ინსპექტორები იქნებიან შეიარაღებული ყველა საჭირო ატრიბუტით, მათ შორის — ელექტროსასწორით.

**— დაჯარიმების პროცესი აღგვიწერეთ — როგორ ამტკიცებენ ინსპექტორები, რომ ნაგავი კონკრეტულმა მოქალაქემ გადააგდო?**

— ეს არის მკაცრი აღრიცხვის ოქმები, რომელიც ბაზაში ხვდება. ნარჩენების მართვის კოდექსით სარგებლობს როგორც „თბილსერვის ჯგუფი“, ასევე გარემოს დაცვის სამინისტრო და საპატრულო პოლიცია. შესაბამისად, ჩვეულებრივად შედგება საჯარიმო ოქმი და გადახდილი თანხა წავა სახელმწიფო ბიუჯეტში.

ჩვენი ინსპექცია აღჭურვილი იქნება სამხრე კამერებით, როგორც საპატრულო პოლიციას აქვს, უნიფორმით — სადაც იქნება ჩვენი ლოგო, „თბილისის მერია, თბილსერვის ჯგუფი“, ასევე იქნებიან აღჭურვილი პლანშეტებით და ფოტოაპარატებით. ამ ყველაფრით კი ფაქტს დაადასტურებს. თუ ფაქტი ვერ დადასტურდა, საჯარიმო სანქცია ვერ შედგება.

**— კორპუსიდან გადმოგდებული ნაგვის მეპატრონეს როგორ დაადგნენ?**

— სხვადასხვა პროცედურებია. იმ შემთხვევაში თუ ვერ ფიქსირდება გადმოგდება, მაგრამ ინსპექტორმა დაინახა, არსებობს ამხანაგობა და სამეზობლო, სადაც მოკვლევა დაიწყება და დადგენის შემთხვევაში ჯარიმა გამოიწერება.

**— ანუ, ფაქტობრივი მტკიცებულების გარდა, შესაძლოა მოწმეთა მტკიცებულებაც გამოიყენოთ?**

— მტკიცებულება შეიძლება ფაქტობრივი არ იყოს, მაგრამ თუ მეზობლები, ამხანაგობის თავმჯდომარე, სამსახურს მოწმედ დაუდგებიან, საჯარიმო ოქმი დაიწერება.

**— რამდენი ინსპექტორი ივლის თბილისში?**

— დასაწყისში 20 ინსპექტორი ფეხით ივლის დედაქალაქის მასშტაბით, რადგან ახლადჩამოყალიბებული სამსახურია. დავიწყებთ ცენტრალური, ტურისტული უბნებით, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვა უბნებს არ მიექცევა ყურადღება, რადგან „თბილსერვის ჯგუფში“ არსებობს ზედამხედველობის სამსახური, რომელიც ეკიპაჟებად, ავტომობილებით მოძრაობენ და ისინი აღრიცხავენ ყველა კანონდარღვევას.

**— დაუმორჩილებლობის შემთხვევაში რა სანქციებია გათვალისწინებული?**

— თუ დაუმორჩილებლობა მოხდება, ან რაიმე სხვა სახის გართულება მოჰყვება დაჯარიმებას, ირთვება სამხრე კამერა, მოქალაქეს აფრთხილებენ, რომ იწერება მისი საუბარი და საჭიროების შემთხვევაში პატრულის გამოძახება ხდება. მოქალაქეს, პირველ რიგში, საჯარიმო ოქმის გასაჩივრების უფლება აქვს. თუ მოქალაქე ჯარიმის გადასახდელად არ მივა, ეს გადაიგზავნება სააღსრულებო სამსახურში და იძულების წესით მოხდება ჯარიმის ამოღება.

**— შესაბამისად, მოქალაქეებს ვურჩიოთ, რომ ნაგავი ქუჩაში არ დაყარონ და ნაგვის ურნებს შესაბამისი დანიშნულება მიანიჭონ.**

— აუცილებლად. ჩვენ ამის კომფორტი შექმნილი გვაქვს. ასევე, მოქალაქეებს მოვუწოდებთ, თუ ფიქრობენ, რომ სადმე ნაგვის ურნა დასამატებელია, ან შესაცვლელია და ა.შ. მოგვმართონ განცხადებით „თბილსერვის ჯგუფში“ და ამას მყისიერი რეაგირება მოჰყვება.

**ესაუბრა**
**მანა ნოდია**

# მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

**საქართველო**

**შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მეორე პროექტი**

**კრედიტის №5078-GE; სესხის №8143-GE**

**პროექტის N P122204**

**დავალების სახელწოდება: მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების პროგრამის ფარგლებში**

**განხორციელებული შესყიდვების დეტალური მიმოხილვა**

**კონტრაქტი/ RFP #** SLRPII/CS/CQS-06

საქართველომ მსოფლიო ბანკს მიმართა **შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მეორე პროექტის** დასაფინანსებლად. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში საკონსულტაციო მომსახურების ღირებულების ასანაზღაურებლად.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი აღნიშნული მომსახურების გასაწევად ინტერესის გამოხატვისთვის იწვევს უფლებამოსილ საკონსულტაციო კომპანიებს (კონსულტანტებს) შემდეგი საკონსულტაციო მომსახურების („მომსახურება“ ) გასაწევად: **„მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების პროგრამის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების დეტალური მიმოხილვა“.**

საკონსულტაციო მომსახურების სავარაუდო ხარნგრძლივობაა 18 კვირა.

**დავალების მიზანი:**

დავალების მიზანია განიხილოს მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვები და კონტრაქტის განხორციელების პროცესი, რათა დადგინდეს მისი შესაბამისობა საფინანსო ხელშეკრულებებთან, მსოფლიო ბანკის შესყიდვების პროცედურებთან და ქვეყნის კანონმდებლობასთან.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ მომსახურების გასაწევად საჭირო გამოცდილებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი ინფორმაცია. ინტერესთა გამოხატვის წერილს თან უნდა დაერთოს შემდეგი: კონსულტანტის კორპორატიული პროფაილი და შესაბამისი გამოცდილება დავალებასთან მიმართებაში.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების – „მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]„, (2011 წლის იანვრის გამოცემა, „კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები“) – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალში კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურებებში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია ფირმის საკონსულტაციო მომსახურეობებთან ინსტრუქციების 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

კონსულტანტებს შეუძლიათ გაერთიანდნენ კვალიფიკაციის გაუმჯობესების მიზნით. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მსოფლიო ბანკისთვის მისაღები გაერთიანების ფორმაა ან ქვე-კონსულტანტი ან ერთობლივი საწარმო. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათლად უნდა იყოს მითითებული ასოციაციის სახე. ქვე-კონსულტანტების გამოცდილება არ იქნება გათვალისწინებული კომპანიის კორპორატიული გამოცდილების შეფასების დროს. დავალების შესაბამისი პროექტების განხორციელების გამოცდილება წარმოდგენილ უნდა იქნას 1 ფორმის სახით, რომელიც განთავსებულია საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე www.georoad.ge შემდეგ ბმულზე:

http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1490604057

კონსულტანტების მიერ წარმოდგენილი ინტერესის გამოხატვა არ უნდა აღემატებოდეს 30 გვერდს. დანართის სახით შესაძლებელია კომპანიის ბროშურის წარმოდგენა, რაზეც გვერდების რაოდენობის შეზღუდვა არ ვრცელდება.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება **კონსულტანტის კვალიფიკაციაზე დაყრდნობით შეჩევის მეთოდით** მსოფლიო ბანკის ინსტრუქციებით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად: მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება, 2011 წლის იანვარი, განახლებული 2014 წლის ივლისში.

**მოკლე სიაში მოხვედრის კრიტერიუმია:**

- ზოგადი გამოცდილება შესყიდვების აუდიტში და კონტრაქტის მართვაში;
- მსგავსი გამოცდილება: მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებულ პროექტებში განხორციელებული შესყიდვების აუდიტი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში (2012 წლის შემდეგ);
- მსგავსი გამოცდილება: მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებულ პროექტებში კონტრაქტების მართვის გამოცდილება უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში (2012 წლის შემდეგ);

<u>შეფასებისას მოხდება მხოლოდ წარმატებით დასრულებული დავალებების გათვალისწინება.</u>

*<u>საავტომობილო გზების დეპარტამენტი იტოვებს უფლებას გადამოწმოს წარმოდგენილი საბუთები და მოპოვებული ინფორმაცია გამოიყენოს შეფასების მიზნებისთვის.</u>*

დაინტერესებულ კონსულტანტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ იმეილზე: info@georoad.ge

ინტერესის გამოხატვა წერილობითი სახით წარმოდგენილ უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე (პირადად, ფოსტის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით) არა უგვიანეს **2017 წლის 11 აპრილის, 17:00 საათისა.**

სახელი: გიორგი სეთურიძე

პოზიცია: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე

მისამართი: საქართველო, თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზირი №12

ელექტრონული ფოსტა: info@georoad.ge

ვებ-გვერდი: www.georoad.ge

# REQUEST FOR EXPRESSIONS OF INTEREST

**Georgia**

**Second Secondary and Local Roads Project (SLRPII)**

**Credit No.** 5078-GE; **Loan No.** 8143-GE

**Project No.** P122204

**Assignment Title: ENHANCED PROCUREMENT REVIEW (EPR) OF WORLD BANK-FINANCED SECONDARY AND LOCAL ROADS PROGRAM**

**Contract/RFP No:** SLRPII/CS/CQS-06

Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the **Second Secondary and Local Roads Project** and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites eligible consulting companies to express their interest in providing the following services: "ENHANCED PROCUREMENT REVIEW (EPR) OF WORLD BANK-FINANCED SECONDARY AND LOCAL ROADS PROGRAM` .

Estimated duration of assignment is **18 weeks.**

The Objective of Assignment:

The objective of the EPR is to review the procurement, contracting, and implementation processes which have been followed for the contracts in the World Bank financed projects to confirm consistency with the Financing Agreements (FA), the World Bank Procurement Guidelines and national legislation.

Interested companies shall provide information demonstrating that they have the necessary experience to perform the aforesaid services. Expressions of interest should cover, but not limited to: Experience relevant to the project activities, key staff resources and qualification, corporate profile.

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank's *<u>Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers</u>*, January 2011, revised July 2014 ("Consultant Guidelines` ), setting forth the World Bank's policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm's consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

Consultants may form an association (*Please take into account that form of association acceptable for the World Bank is either sub-consultancy or Joint-Venture and submission must clearly indicate the nature of the association* ) to enhance their qualifications. The experience of sub-consultants will not be taken into account while evaluating the corporate experience of the company. Experience in the projects relevant to the assignment should be submitted in the Form N1 uploaded at Roads Department website on www.georoad.ge on the following link:

http://www.georoad.ge/?lang=eng&act=tenders&func=menu&uid=1490604057

The consultants are strongly advised to limit their Expression of Interest to 30 pages. Company brochures may be included as an Annex, and will not be affected by the limit of 30 pages.

A consultant will be selected in accordance with the **"Consultant's Qualification Selection`** procedures set out in World Bank's *<u>Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers</u>* , January 2011, revised July 2014 ("Consultant Guidelines` ).

Shortlisting criteria:

- General experience in procurement audit and contract management;
- Similar experience: assignments for procurement audit under the World Bank financed projects within the last 5 years (i.e. since January 2012);
- Similar experience: assignments for contract management under the World Bank financed projects within the last 5 years (i.e. since January 2012);

Only SUCCESSFULLY COMPLETED assignments will be taken into account during evaluation.

*<u>The Roads Department reserves it's right to verify submitted references and use obtained information for evaluation purposes.</u>*

Interested consultants may obtain further information at the address: info@georoad.ge

Expressions of Interest electronically or in printed materials must be delivered to the address below not later than **April 11, 2017, 17:00 hours.**

Name: Giorgi Seturidze
Position: Chairman of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia
Email: info@georoad.ge
Web-Site: www.georoad.ge

## განცხადება

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2017 წლის 25 მარტის ნომერში გამოქვეყნებულ განცხადებაში, მესტიის მუნიციპალიტეტში დაგეგმილი მცირე სიმძლავრის ლუხრა ჰესის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვასთან დაკავშირებით, შეტანილია ცვლილება. ცვლილების მიხედვით საჯარო განხილვა 2017 წლის 14 მაისის 12 საათის ნაცვლად ჩატარდება 2017 წლის 16 მაისს, 14 საათზე, მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში (დაბა მესტია, სეტის მოედანი №1).

**შპს „ეკოჰიდროპლიუსის“ ადმინისტრაცია**

## როცა დაავადება უკან იხევს

**ცნობილი** სახალხო მკურნალის, ქალბატონ მაყვალა ცინცაძის უძველესი საოჯახო სამკურნალო ტრადიციების გამგრძელებელი **ნანა მელია-პაიჭაძე** წინაპრების მიერ გადმოცემული ტექნოლოგიით სწრაფად და ეფექტურად მკურნალობს ჰაიმორიტს და ასევე მკურნალობს მცენარეული საფენ-მალამოებით 1. **ქვალსახსროვან დაავადებებს: მარილებს, კისრის, მუხლ-სახსრის, მენჯ-ბარძაყის ართროზს; 2. ოსტეოქონდროზს; 3. რადიკულიტს; 4. დისკოზს; 5. ნერვის და სახსრების ანთებას; 6. ფეხის ტერფის, ძუსლის ტკივილს.**

ვისაც გსურთ სწრაფად, ეფექტურად მკურნალობა და უპირატესობას ანიჭებთ საუკუნეებგამოვლილ, აღიარებულ მცენარეულ მალამოებს, შეგიძლიათ, მიაკითხოთ ქალბატონ ნანას მისამართზე: *ქ. თბილისი, წერეთლის მე-3 კორპუსი, მე-2 სადარბაზო, მე-2 სართული.* ნანა მელია-პაიჭაძე. ტელ: 2 34 62 51. 557 25 66 17. 599 20 19 66.

◎ რეციდივი

# არ მინდა ფინიში!

**სად ფეხბურთი და სად სამედიცინო ტერმინოლოგია – გაიფიქრებს ალბათ მკითხველი, როცა ჩვენი სტატიის რუბრიკას გაეცნობა.**

ვინც ჯერ კიდევ ადევნებს თვალყურს საქართველოს ეროვნული ნაკრების წინასწარ წასაგებად განწირულ ფაფხურს, დაგვეთანხმება: დიახ, „ჯვაროსანთა“ თამაში უხვად შეიცავს ავთვისებიანი სიმსივნის მეტასტაზებს, რომელიც თანდათან საშიშ მასშტაბებს იძენს და შესარჩევი ციკლის დასასრულს, დიდი ალბათობით, ლეტალურ შედეგს გვიქადის.

**საქართველო – სერბეთი 1:3 (1:1)**

**გოლები:** კაჭარავა; ტადიჩი (პენალტით), მიტროვიჩი, გაჩინოვიჩი.

**მსაჯი:** ფელიქს ცვაიერი (გერმანია).

ტრადიციისამებრ, ვლადიმირ ვაისის გუნდი მხოლოდ პირველ ტაიმში გამოიყურებოდა ღირსეულად. ჰოდა, სიმწარენარევი იუმორით დავსვათ კითხვა: ნეტავ, რა დაშავდება, მომავალში პირიქით რომ მოხდეს და მეტოქეს მეორე ტაიმში ვაჯობოთ – მატჩის ბედი ხომ შესვენების შემდეგ წყდება?

გასათვალისწინებელია, რომ მეორე ტაიმს, როგორც პრაქტიკა მოწმობს, კვალიფიციური მწვრთნელები იგებენ და, თანაც, შეხვედრის შედეგს ჩვენ არავინ გვითანხმებს: უმეტეს შემთხვევებში ბრძოლის სიუჟეტს მოწინააღმდეგენი და მათი თავკაცები განსაზღვრავენ.

სამწუხაროდ, საფინალო სასტვენის შემდეგ ყველანი მოთქვამდნენ, რატომ იღორა 1:0-ზე ყაზაიშვილმა და ცარიელი კარის წინ მარტოდმარტო მდგომ ანანიძეს ბურთი რატომ არ მიაწოდაო, იმას კი არავინ კითხულობდა, რამდენად დამსახურებულად დავწინაურდით – სტუმრებმა ხომ სტარტზევე გვიფეშქაშეს კაჭარავას სადებიუტო გოლი.

სხვათა შორის, ვალში არც ჩვენ დავრჩენილვართ – გადამწყვეტ მეორე გოლს ლორიას კარში მთლიანობაში ნაყოფიერად გარჯილი გვილიას უხეში შეცდომა უძღოდა წინ.

აღარაფერს ვამბობთ ცალკეულ შემსრულებელთა ინდივიდუალურ ოსტატობაზე, რაც ოქრიაშვილ-მჭედლიძე-დაუშვილის არყოფნაში კიდევ უფრო კონტრასტული გამოჩნდა.

და ბოლოს: მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე მასპინძელთა სლოვაკმა მწვრთნელმა აღიარა, რომ დააგვიანა მარჯვენა მცველ კაკაბაძის შეცვლა, რომელიც თავიდანვე ნერვიულობდა და სწორედ მან აიკიდა კოსტიჩთან დუელში საბედისწერო პენალტი. მეტი პრობლემა რომ არ გვქონდეს, რაღა გვიჭირდა.

**დანარჩენი შედეგები:** ირლანდია – უელსი 0:0, ავსტრია – მოლდოვა 2:0.

**სატურნირო მდგომარეობა:** სერბეთი, ირლანდია – 11-11, უელსი, ავსტრია – 7-7, საქართველო – 2, მოლდოვა – 1 ქულა.

**11 ივნისს ითამაშებენ:** ირლანდია – ავსტრია, სერბეთი – უელსი, მოლდოვა – საქართველო.

*დღეს 18 საათზე ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამო არენაზე“ დაიწყება ამხანაგური მატჩი საქართველო – ლატვია.*

**გიორგი შოთაძე**

◎ სამგზო

# გოგონებმა მოსკოვს ზემოდან გადმოხედეს

**მსოფლიოს 27 ქვეყნის 300 სპორტსმენი მონაწილეობდა (მათ შორის – ოთხი ქართველი) მოსკოვში გამართულ სამბისტთა მსოფლიოს თასის გათამაშებაში, რომელიც სპორტის ამ სახეობის ფუძემდებლის – ანატოლი ხარლამპიევის სახელს ატარებს. როგორც წესი, ეს შეჯიბრება მაისში გასამართავი ევროპის ჩემპიონატის წინ გენერალური რეპეტიციაა.**

რუსეთის დედაქალაქში შარშან ქალთა შორის მთავარი პრიზები ნინო ოძელაშვილმა (72 კგ) და შორენა შარაძემ (60კგ) მოიპოვეს. ნინომ ამჯერადაც შესანიშნავად იჭიდავა: ევროპის მოქმედმა ჩემპიონმა პირველი ორი ორთაბრძოლის წმინდად მოგებას წამები მოანდომა – ამერიკელი და თურქმენი მეტოქეები დაამარცხა. 26 წლის ქართველმა ფინალში რუს გურციევასაც ვადამდე მოუგო და გამარჯვების აღსანიშნავად ხალიჩაზე მისთვის უკვე ჩვეული საფირმო სალტოები და ეშხიანი ცეკვა შეასრულა. წარმატებით იასპარეზა ელენე ქებაძემაც (+80). გადამწყვეტ პაექრობაში მან რუსი მსოფლიოს და ევროპის არაერთგზის ჩემპიონი ანა ბალაშოვა დაამარცხა – 2:1.

ვაჟთაგან 2015 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა დავით ლორიაშვილმა (100კგ) მხოლოდ ფინალური შეხვედრა დათმო და ვერცხლის მედალს დასჯერდა, ხოლო ევროპის ჩემპიონსა და მსოფლიოს თასის შარშანდელ მფლობელ ბექა ბერძენიშვილს (+100კგ) ბრინჯაოს მედალი ერგო.

**ლექსო ციცაძე**

ნინო ოძელაშვილი

ელენე ქებაძე

◎ ტაბლო

# ჩოგბურთი

**ანტალია (თურქეთი). საერთაშორისო ტურნირი.** წყვილთა თანრიგი. საპრიზო ფონდი 15 000 ევრო. ფინალი. სოფიო შაფათავა, ქსენია პალკინა (ყირგიზეთი) – სანდრა იამრიჩოვა (სლოვაკეთი), ელენა სიმიჩი (ბოსნია) 6:4, 7:5.

# კალათბურთი

**ესპანეთის ჩემპიონატი.** „ესტუდიანტესი“ – „ბასკონია“ 70:76. **თორნიკე შენგელია:** 25 წუთში 21 ქულა, 9 მოხსნა, 2 ჩაჭრა და 1 დაფარება. „ბარსელონა“ – „ანდორა“ 102:65. **გიორგი შერმადინი:** 22 წუთში 18 ქულა, 5 მოხსნა. **ბექა ბურჯანაძე:** 25 წუთში 13 ქულა, 4 მოხსნა, 2 პასი.

17-17 მოგებით მესამე-მეექვსე ადგილებს იყოფენ „ბასკონია“, „რეალი“, „ბარსელონა“ და „გრან კანარია“, ხოლო 12 გამარჯვებით „ანდორა“ საპლეიოფო ზონაშია და მერვე პოზიციას იკავებს.

# წყალბურთი

**რუმინეთის ჩემპიონატის რეგულარული სეზონი.** ბოლო ტური. „დინამო“ – „კორონა“ 12:6, 7:13. ამ შეხვედრებში საქართველოს ნაკრების კაპიტანმა ზურაბ რურუამ 4 გოლი გაიტანა.

**საბოლოო მდგომარეობა:** „სტიაუა“ – 81, „ორადეა“ – 72, „დინამო“ – 57, „კორონა“ – 52 ქულა.

**ნახევარფინალში ითამაშებენ:** „სტიაუა“ – „კორონა“, „ორადეა“ – „დინამო“.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◎ ჭიდაობა

# ოთხი უნგრული ჯილდო

**სომბათჰეიში (უნგრეთი) დამთავრდა ოლიმპიური ჩემპიონის – იმრე პოიაკის მემორიალი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. საქართველოს ნაკრებმა ტურნირში 1 ოქროს და 3 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა მძიმეწონოსანი ლევან არაბული, ხოლო მესამე ადგილებზე ვასილ იმერლიშვილი (მძიმე წონა), ევროპის ჩემპიონი ზურაბ დათუნაშვილი (80) და ევროპის ვიცე-ჩემპიონი რობერტ კობლიაშვილი (85) გავიდნენ.**

არაბულმა ფინალის გზაზე სამ მეტოქეს სძლია: არგენტინელ დელ რიოს ერთ წუთში წმინდად აჯობა, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონსა (2006, 2013) და ოლიმპიური თამაშების ფინალისტს (2012) ესტონელ ჰეიკი ნაბის 2:0 მოუგო, უნგრელ ლაინს - 5:0, გადამწყვეტ პაექრობაში კი ფინელი თომას ლაჰტი დაჯაბნა – 3:0.

დათუნაშვილმა რეპეშაჟის ფინალში ამერიკელ იან სტეპენვიცს აჯობა, კობლიაშვილმა – პოლონელ ტადეუშ მიხალიკს, ხოლო იმერლიშვილმა იაპონელ არუტა სონადას სძლია.

**გივი გაგუა**

**სურათზე:** მარცხნიდან მეორე – **ლევან არაბული,** მესამე – **ვასილ იმერლიშვილი.**

## თომას დევაალი:

# ჯოხარ დუდაევი და ზვიად გამსახურდია ასე ატარებდნენ მარტოსულ და გაყინულ საღამოებს

**თომას დევაალის ინტერვიუების ნაკრები კოლუმბიის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მოთავსდება. ამ მოვლენისადმი მიძღვნილი ღონისძიება ჰარიმანის ინსტიტუტის ინიციატივით კოლუმბიის უნივერსიტეტში შედგა, სადაც თომას დევაალმა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კავკასიაში წარმოქმნილი კონფლიქტების გაშუქების პროცესში მის მიერ მოპოვებული მნიშვნელოვანი მასალების თაობაზე ისაუბრა. ავტორმა და კავკასიის საკითხების ექსპერტმა თავად გამოთქვა სურვილი მის მიერ შექმნილი არქივი კოლუმბიის უნივერსიტეტისთვის გადაეცა.**

როგორ შეიქმნა დასავლელი ჟურნალისტის მიერ ფასდაუდებელი ისტორიული არქივი საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე მთიან ყარაბაღსა და ჩეჩნეთში წარმოქმნილი ომების შესახებ. დღეს ის მკვლევარია, თუმცა მაშინ, როდესაც ჩეჩნეთში და ყარაბაღში საომარი მოქმედებები დაიწყო, ის იყო ერთ-ერთი პირველი ჟურნალისტი დასავლეთიდან, რომელიც კავკასიის ცხელი ადგილებიდან მსოფლიოს ექსკლუზიურ მასალებს აწვდიდა. მკვლევარი ამბობს, რომ მთავარი ხალხთან საუბარი იყო მათი მოსმენა, მთავარ ინფორმაციას ის სწორედ მათგან ღებულობდა.

**„მოპოვებული ინფორმაციის მხოლოდ 5% ხვდება გაზეთსა თუ ტელევიზიაში, დანარჩენი მასალა ავტორისაა და ის უნდა შეინახოს“, — ამბობს თომას დევაალი, რომელმაც კავკასიის საკითხების კვლევას ოთხი წიგნი და არაერთი სტატია მიუძღვნა. დასავლელი ჟურნალისტი ჩეჩნეთისა და ყარაბაღის მოვლენების გაშუქების დროს ხშირად ოფიციალურ პირებთან ერთად არაფორმალურ გარემოშიც ხვდებოდა. კოლუმბიის უნივერსიტეტში საკუთარი არქივის გახსნისადმი მიძღვნილ შეხვედრაზე მან დევნილობაში მყოფი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ისტორია და ჯოჰარ დუდაევის გატაცება გაიხსენა: „ყოველ საღამოს ზვიად გამსახურდია და ჯოჰარ დუდაევი ერთად ბილიარდს თამაშობდნენ. ჯოჰარ დუდაევი ყოველდღე იგებდა, ზვიად გამსახურდია კი უილიამ შექსპირის ტრაგედიის ქართველი გმირივით იყო. მარტოსულ და გაყინულ საღამოებს ეს ორი პრეზიდენტი ასე ატარებდა“,** — ამბობს თომას დევაალი.



ჩეჩნეთის პირველი პრეზიდენტი ჯოჰარ დუდაევი სატელიტურ ტელეფონზე საუბრის დროს ააფეთქეს, საქართველოს პრეზიდენტის გარდაცვალების გარემოებებზე კი კვლევა ჯერაც არ დასრულებულა. მოკლეს ჩეჩნეთის მეორე ლიდერი ასლან მასხადოვიც, რომელსაც თომას დევაალმა ინტერვიუ ბორის ელცინთან დაგეგმილი სამშვიდობო მოლაპარაკებების შესახებ ტყეში ჩამოართვა.

**„ძირითადი, რაც კონფლიქტში მონაწილე მხარეების მხრიდან და რუსეთის ხელისუფლების წრეებისგან აღებული ინტერვიუების შემდეგ დასკვნის საშუალებას მაძლევს არის ის, რომ არეულობა რეგიონში არ იყო უშუალოდ კრემლის პოლიტიკა, არამედ კრემლში არსებულ იმ ადამიანთა ჯგუფის, რომელიც ბორის ელცინის წარმატებული რებრენდინგით იყო დაინტერესებული. ჩეჩნეთის ფართომასშტაბიანი კონფლიქტის თავიდან აცილება შესაძლებელი იყო. მით უმეტეს შედეგი - ათასობით მსხვერპლი და ჰუმანიტარული პრობლემების კვალდაკვალ ჩეჩნეთის საკითხის გამო ბორის ელცინის რუსეთის ავტორიტეტის შერყევა დასავლეთში და მძაფრი კრიტიკა დემოკრატიული რუსეთის მიმართ საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან“,** — ამბობს ექსპერტი.

თომას დევაალი 90-იან წლებში „BBC-ში“ მუშაობდა, შემდეგ იყო „Moscow Times“ და „The Times“.

კოლუმბიის, ჰარიმანის ინსტიტუტი წელს საბჭოთა კავშირის დაშლიდან 25-ე წლისთავს აღნიშნავს. ჰარიმანის ინსტიტუტის ხელმძღვანელი ალექსანდრ ქული თომას დევაალის არქივს მნიშვნელოვან შენაძენს უწოდებს კოლუმბიის უნივერსიტეტისთვის, სადაც მომავალი კონფლიქტოლოგები, ჟურნალისტები და სამართლის სპეციალისტები სწავლობენ.

# რიკოთის ავტომაგისტრალი 2020 წელს დასრულდება

**რიკოთის** **უღელტეხილზე, ხევი-უბისა-შორაპანი-არგვეთის მონაკვეთის 42 კმ სიგრძის 4-ზოლიანი გზის მშენებლობის პროექტირება იწყება, რომელიც 90-მდე ხიდსა და 40-მდე გვირაბს მოიცავს. ეს ნიშნავს, რომ სულ რაღაც 3-4 წელიწადში დედაქალაქს ზღვისპირა ქალაქებთან მაგისტრალი დააკავშირებს. თავისი მაღალი ღირებულებიდან გამომდინარე რიკოთის მონაკვეთზე გადაადგილება, შესაძლოა, ფასიანი გახდეს. მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტი საქართველოს მთავრობის ოთხპუნქტიანი რეფორმების ყველაზე მოცულობითი კომპონენტის სივრცითი მოწყობის ფარგლებში განხორციელდება.**

პროექტი, რომლის ჯამური ღირებულება 800 მილიონ დოლარს შეადგენს, აზიის განვითარების ბანკის დაფინანსებით ხორციელდება.

**„ეს არის, როგორც აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი გზა, ასევე, მას აქვს სატრანზიტო ფუნქცია ჩვენი მეზობელი ქვეყნებისთვის. ეს ჩვენი სივრცითი განვითარების გეგმის ძალიან მნიშვნელოვანი მონაკვეთია და მიხარია, რომ ამ პროექტებში წინ კარგი სიჩქარით მივიწევთ“,** — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა მთავრობის სხდომაზე.

ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე ირაკლი მატკავას ინფორმაციით, რიკოთის უღელტეხილზე თანამედროვე სტანდარტების საავტომობილო გზის მონაკვეთის ასაშენებლად რამდენიმე ათეული გვირაბისა და ამდენივე ხიდის აშენება გახდება საჭირო. საბოლოო ჯამში მოხდება რიკოთის მონაკვეთის მოდერნიზება, გაკეთდება ფართო და ჩქაროსნული ავტობანი, რაც მგზავრობის დროს შეამცირებს.

**„რადგან მთიანი მონაკვეთია, დასჭირდება როგორც გვირაბების, ისე ხიდების აშენება, რომ ეს გზა იყოს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, უსაფრთხო და იმაზე სწრაფი, ვიდრე დღეს არის. სამუშაოები რიკოთის მისადგომებთან გადასულია აქტიურ ფაზაში. მიმდინარეობს რიკოთის მონაკვეთის პროექტირების სამუშაოები, ხოლო მშენებლობა დაიწყება მომავალი წლიდან“,** — განუცხადეს „საქმის კურსს“.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მომავალი 4 წლის განმავლობაში 3-ნახევარი მლრდ. დოლარის დახარჯვა აქვს დაგეგმილი, რომლის დიდი ნაწილი სწორედ საგზაო ინფრასტრუქტურის შექმნას მოხმარდება. მათ შორის, ერთ-ერთი უმთავრესი სწორედ რიკოთის ავტომაგისტრალია.

საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, ამ ეტაპზე დასრულებულია რიკოთის მონაკვეთის მხოლოდ ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების პროექტი, რომელიც მსოფლიო ბანკის დაფინანსებით განხორციელდა. ახალი გზის მშენებლობა 2018 წელს დაიწყება და 2020 წლისთვის დასრულდება.

**„ავტობანის რიკოთის მონაკვეთი მაღალი დანახარჯის გამო, შესაძლოა, ფასიანი გახდეს. ასეთ შემთხვევაში უნდა არსებობდეს ალტერნატიული გზა, რომელზეც ტრანსპორტი გადაადგილებას ყოველგვარი გადასახადის გარეშე შეძლებს.**

**ამიტომ გათვალისწინებულია, რომ ავტობანი ამჟამად მოქმედ გზაზე არ გაივლის და იგი ცალკე მის გვერდით აშენდება.**

**მაგისტრალური გზა ბევრ ქვეყანაში არის ფასიანი. საქართველოს შემთხვევაში, თუკი იგი ფასიანი გახდება, აუცილებლად უნდა განვითარდეს ალტერნატიული გზაც. მძღოლს უნდა ჰქონდეს არჩევანი, რომელი გზით ისარგებლებს. ახალ ზელანდიაში გზის მფლობელი არის კერძო კომპანია, რომელიც პასუხს აგებს გზის კეთილმოწყობაზე და თავად ადგენს ტარიფსაც. ჩვენთან ეს წარმოუდგენელია. ახლა ვინმესთვის გზის მიყიდვა ნაჩქარევი გადაწყვეტილება იქნება და გადაადგილებასაც გააძვირებს. ნებისმიერ შემთხვევაში, ალტერნატიული გზა უნდა არსებობდეს“,** — აცხადებს ტრანსპორტის სფეროს ექსპერტი დავით მესხიშვილი.

**დავით ბექაური**

# სასამართლომ ავტოსაგზაო შემთხვევისთვის ბრალდებულ თორნიკე ტუღუშს პატიმრობა შეუფარდა

**სასამართლომ ავტოსაგზაო შემთხვევისთვის ბრალდებულ თორნიკე ტუღუშს პატიმრობა შეუფარდა, — ამის შესახებ ინფორმაციას მთავარი პროკურატურა ავრცელებს:**

„თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა საქართველოს პროკურატურის შუამდგომლობა და ქ. თბილისში, აღმაშენებლის ხეივანში მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის ფაქტზე ბრალდებულ თორნიკე ტუღუშს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

გამოძიებით დადგინდა, რომ 2017 წლის 22 მარტს, დაახლოებით 08:25 საათზე, ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანში, თორნიკე ტუღუში გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობდა „BMW“-ს მარკის ავტომობილით, რა დროსაც თანმხვედრი მიმართულებით მოძრავ სხვა ავტომობილს შეეჯახა, რომელმაც დაკარგა მართვა, გადავიდა გზის სავალი ნაწილიდან და ქვეითთათვის განკუთვნილ ტროტუარზე მყოფ ნანა ოჩიგავასა და მის რვა წლის შვილს შეეჯახა. ავტოსატრანსპორტო შემთხვევის შედეგად, მცირეწლოვანი გოგონა შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო ნანა ოჩიგავა მძიმე დაზიანებებით საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი.

საქმეზე ჩატარდა სხვადასხვა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები: დათვალიერდა შემთხვევის ადგილი, დაიკითხნენ მოწმეები, მოპოვებული იქნა შემთხვევის ამსახველი ვიდეომასალა, დაინიშნა სასამართლო-სამედიცინო და ნარკოლოგიური ექსპერტიზები, ჩატარდა სატრანსპორტო-ტექნიკურ-ტრასოლოგიური ექსპერტიზა, რომელიც ადგენს ავტომანქანის ტექნიკურ გამართულობას, ავარიის მექანიზმს და მონაწილე მძღოლის ბრალეულობას, ხოლო საექსპერტო კვლევების ჩატარებას სჭირდება გარკვეული დრო. 2017 წლის 23 მარტის ექსპერტიზის დასკვნით დადგინდა, რომ ავტოსატრანსპორტო შემთხვევა გამოწვეული იყო თორნიკე ტუღუშის მიერ „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დარღვევის შედეგად.

2017 წლის 24 მარტს, თორნიკე ტუღუშის დაკავების შუამდგომლობით პროკურატურამ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა. 2017 წლის 25 მარტს თორნიკე ტუღუში სასამართლო განჩინების საფუძველზე დაკავებული იქნა ბრალდებულის სახით და 26 მარტს წარედგინა ბრალდება.

საქმეზე გრძელდება გამოძიება: დანაშაული თავისუფლების აღკვეთას ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე ითვალისწინებს“.

◎ ალიარება

## ნაირა გელაშვილი ლაიფციგის წიგნის საერთაშორისო ბაზრობის მთავარ მოვლენად იქცა

**წიგნის ბაზრობაზე მისი რომანის „მე ის ვარ“ გერმანული თარგმანის წარდგინება გაიმართა.**

მწერალი ლაიფციგში მიიწვიეს, როგორც გამოფენის მთავარი მოვლენა – ე. წ. „ლურჯი სავარძლის“ სტუმარი.

შეხვედრამ 40 წუთი გასტანა. გერმანელი მკითხველი დიდი ინტერესით უსმენდა ნაირა გელაშვილს, რომლის რომანიც ამჟამინდელი ბაზრობის მთავარ ლიტერატურულ მოვლენად აღიარეს.

◎ ინტერნეტიდან

## პრობლემა – ჩადრიანი ქალები ოლიმპიადაზე

**საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი რომ ერთ-ერთი ყველაზე ლოიალური და დამთმობი ორგანიზაციაა, ცნობილი ამბავია და თუნდაც იმით დასტურდება, რომ ოლიმპიადებსა თუ პარაოლიმპიადებზე ისლამისტური ქვეყნების წარმომადგენელ სპორტსმენ ქალებს სპეციალური ტანსაცმლითა და საბურველით ასპარეზობის უფლებას აძლევენ.**

დღეს მთელ მსოფლიოში კამათობენ, ამგვარი ტანსაცმლით ოლიმპიადაზე დაშვება არის თუ არა ქალთა უფლებების შეზღუდვის საერთაშორისო დონეზე დაკანონება და სწორია თუ არა საერთაშორისო ოლიმპიური მოძრაობა, როდესაც ირანელ თუ არაბ სპორტსმენ ქალებს ამგვარ შესამოსელს უკანონებს.

ცოტა ხნის წინათ, ამერიკაში დაიწყო და უკვე მთელ მოფლიოში გავრცელდა მოძრაობა, რომლის მოთხოვნაა, საერთოდ აეკრძალოთ ოლიმპიადებში გამოსვლა იმ ქვეყნებს, რომლებიც ქალებს ამგვარი სამოსის ჩაცმას აიძულებენ. მოძრაობამ უკვე საკმაოდ მძლავრი სახე მიიღო და 8 მილიონამდე ხელმომწერიც ჰყავთ. მათი მოთხოვნები წესით ლოგიკურია და სწორი, მაგრამ შეისმენს კი ვინმე?...

**როსტომ რაჭველიშვილი**

## სოფელ ზეკარში წითელ ნუსხაში შეტანილი არჩვი მოკლეს

**გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის, დასავლეთის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცულ სახეობაზე – არჩვზე ნადირობის ფაქტი გამოავლინეს.**

ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეკარში, მოქალაქე მამუკა ვაჭარაძემ, მასზე რეგისტრირებული სანადირო თოფით არჩვი (Rupicapra rupicapra) მოკლა. ეს სახეობა გადაშენების პირას მყოფია. მამუკა ვაჭარაძესა და მის თანმხლებ ანდრო გელენიძეს ჩამოერთვათ სანადირო თოფები.

გარემოზე მიყენებული ზიანის ოდენობამ 30 000 ლარი შეადგინა. საქმის მასალები სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავს და შინაგან საქმეთა სამინისტროს ბაღდათის რაიონულ სამმართველოს გადაეგზავნება.

## რუსი მანიაკი, რომელმაც ოთხმოცდაათამდე ქალი მოკლა

**არხანგელსკელ** მანიაკს რუსეთის საგამოძიებო კომიტეტმა საბოლოო ბრალდება წაუყენა. ყოფილ პოლიციელს მიხაილ პოპკოვს კიდევ 60 ქალის მკვლელობაში ადანაშაულებენ. როგორც ძიებით გაირკვა, 20 წლის განმავლობაში, 1990-დან 2010 წლამდე მანიაკის მსხვერპლი სულ 84 ქალი გახდა. პოპკოვმა დანაშაული უკვე აღიარა. მანიაკის თქმით, ის მხოლოდ მსუბუქი ყოფაქცევის ქალებს უსწორდებოდა.

## ბრაზილიაში კორუფციას პროტესტი გამოუცხადეს

**მასობრივი** საპროტესტო მსვლელობები რიო დე ჟანეიროსა და სან-პაულოში გაიმართა. კორუფციული სკანდალის ცენტრში კომპანია პეტრობრაზი 2014 წელს აღმოჩნდა. როგორც გაირკვა, კომპანიის ხელმძღვანელები სოლიდურ თანხებს ითვისებდნენ და ხელისუფლების მაღალჩინოსნებსა და პოლიტიკოსებს ქრთამის სახით უხდიდნენ. თაღლითური სქემის ავტორებმა სახელმწიფო 4 მილიარდი დოლარით აზარალეს.

## საშიში „დები“

**ავსტრალიას** ტროპიკული ციკლონი „დები“ უახლოვდება. სტიქიური საფრთხის ზონიდან მოსახლეობის ევაკუაცია დაიწყო. ბოლო 24 საათის განმავლობაში ქუინსლენდის შტატი 5 ათასზე მეტმა ადამიანმა დატოვა. დღეს დილისთვის ქარიშხლის სიჩქარე საათში სავარაუდოდ 300 კილომეტრს მიაღწევს.

## პაკისტანელები ტრამპს ბაძავენ

**პაკისტანი** ავღანეთის საზღვარზე დამცავი კედლის მშენებლობას იწყებს. როგორც ოფიციალური ისლამაბადი აცხადებს, დამცავი ბარიერის მშენებლობა ავღანეთიდან მომდინარე ტერორისტულ საფრთხეს უკავშირდება. ტერაქტების საფრთხის გამო თებერვლის დასაწყისში პაკისტანს ავღანეთთან საზღვარი ერთი თვით ჰქონდა ჩაკეტილი.

## სამხრეთ კორეის ყოფილი პრეზიდენტი შესაძლოა, დააპატიმრონ

**სამხრეთ კორეის** პროკურატურა ექსპრეზიდენტის დაპატიმრებას მოითხოვს. პან კინ ხეს კორუფციასა და თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში, ასევე, საიდუმლო ინფორმაციის სხვა პირებისთვის გადაცემაში ადანაშაულებენ. ამის გამო მას პარლამენტმა იმპიჩმენტი მოუწყო. საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილება კანონიერად ცნო საკონსტიტუციო სასამართლომაც.

## კამჩატკაში ვულკანური ფერფლი იფრქვევა



**პირველად** ბოლო 100 წლის განმავლობაში, კამბალნის კრატერიდან ვულკანური ფერფლი იფრქვევა. კრატერი დასახლებული რაიონებიდან ასობით კილომეტრის დაშორებით მდებარეობს, რის გამოც მოსახლეობას საფრთხე არ ემუქრება. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ბოლოს კამბალნის ვულკანი 250 წლის წინათ ამოიფრქვა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.4513; ევრო - 2.6484;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.0609;
100 რუბლი - 4.2821; თურქული ლირა - 0.6771;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4243;
1000 სომხური დრამი - 5.0647.

**ამინდი 28 მარტისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +4 | დღე | +15 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | 0, | დღე | +9 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +3, | დღე | +12 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | 0, | დღე | +10 |
| **თბილისი:** | ღამე | +8, | დღე | +13 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge